პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24, ტელეფონი 14—76.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—8.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—8.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 5.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 246 ხუთშაბათი, 25 ოქტომბ 19 3 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 400.000 მ ნ. № 246

დღიური

— საქსონიაში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა. სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ გაფიცვის ჩაშლას.

— გერმანიის პრეზიდენტი ებერტი ლეიპციგის ორგანიზაციამ გამორიცხა პარტიიდან.

— გერმანიაში გირვანქა პური ღირს ხუთნახევარი მილიარდი მარკა.

— პოლონეთმა დაჰკეტა თავისი საზღვრები გერმანიასთან.

— სეპარატიულ მოძრაობას საოკუპაციო ჯარი დიდ დახმარებას უწევს.

საქსონიაში ბრძოლა დუღს

მდგომარეობა უკიდურესათ გამწვავდა. ცენტრალური მთავრობის არმია რეაქციონური გენერლების ხელმძღვანელობით იკავებს თანდათან საქსონიის ტერიტორიას. ლეიპციგში შევიდნენ საკმაოთ დიდი ნაწილები რაიხსვერის, ნაწილი კი მიემართება დრეზდენისკენ. მომენტი გადამწყვეტია. კითხვა სდგას აქტიური წინააღმდეგობის გაწევის შესახებ, რომელიც ნაზარევია ჯერ-ჯერობით საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების სახით მთელ საქსონიაში. ამის წინადადებას იძლევიან კომუნისტები, წინააღმდეგ მიდის სოციალ-დემოკრატები, თვით მემარცხენე ფრთაც კი. გერმანიის კომპარტიის ცეკამ [illegible] მოწოდებით მიმართა მუშათა ხალხს მხარი დაუჭიროს საყოველთაო გაფიცვას, რომელსაც გამოაცხადებენ საქსონიაში. სოციალ-დემოკრატია კი აცხადებს, რომ მხოლოთ იმ შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას ამ გაფიცვაში, თუ მოწინააღმდეგე გადაუხვევს „კონსტიტუციონიურ გზას“ თუ სოციალ-დემოკრატიას ასე გზათ მიაჩნია რაიხსვერის მიერ ადგილობრივი ხელისუფალთა დაუკითხავათ მთელ რიგ ქალაქების დაკავება—ცხადია ის ურიგდება რეაქციონური ჯარის შესვლას საქსონიაში და ფაქტიურათ ეხმარება მას. ჩვენ საქმე გვაქვს უკვე აშკარა ღალატთან. მომენტში, როდესაც საჭიროა სწრაფი და გადამწყვეტი მოქმედება უკვე ფაქტიურათ შეტევაზე გადასული რაიხსვერის წინააღმდეგ, კრებებზე და მიტინგებზე დრო მიდის სოციალ-დემოკრატებსა და კომუნისტებს შორის კამათში იმის შესახებ, იქნეს თუ არა გამოცხადებული საყოველთაო გაფიცვა. იქ, სადაც კომუნისტები მოუწოდებენ ასეთი გაფიცვისაკენ, სოციალ-დემოკრატია გამოდის მის წინააღმდეგ და ასე აფერხებს წითელი რესპუბლიკის თავდაცვის [illegible]ს. აშკარა საბოტაჟი ამ თა[illegible]კის და, ვიმეორებთ, ღალატ[illegible]უთია სოციალ-დემოკრატიის [illegible]ქციელი. მდგომარეობის გ[illegible]წორება შესაძლებელი ხდებ[illegible]ოლოთ ერთი გზით: სოციალ-დ[illegible]რატებისაგან დამოუკიდებ[illegible] გამოსვლით და მათ წინააღმდ[illegible]ოქმედებით. მემარცხენე სო[illegible]ლ-დემოკრატია, ყოველ შემ[illegible]ვევაში მისი ხელმძღვანელი წარ[illegible]მადგენლების სახით, სტო[illegible] პოზიციას უბრძოლველათ. [illegible]თათ ერთი ძალა მათი რიგებიდან არის ისევ მათი მიმდევარი მუშები, რომლებიც წაველენ თვით „მემარცხენე“ ბელადების წინააღმდეგ კომუნისტ მუშებთან ერთათ.

უდიდესი მნიშვნელობის ცნობა, რომელიც ჩვენ მოგვივიდა უკანასკნელი სიტყვების წერის დროს, არის საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება მთელ საქსონიაში. ჩვენ არ ვიცით კიდევ სოციალ-დემოკრატიის უკანასკნელი წუთების გადაწყვეტილება. შეიგნეს თუ არა მათ, რომ რაიხსვერი არა „კონსტიტუციონური“ და „დემოკრატიული“ ადათების მიხედვით იკავებს საქსონიას. თუ ეს ვერ შეიგნეს, როგორც ჩვენ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ ზოგი დღევანდელი რადიოების თანახმათ—ცხადია, რომ გაფიცვა გამოცხადებულია წინააღმდეგ მათი ბელადების ნება-სურვილისა და, ვიმეორებთ, თანახმათ მათი მიმდევარი მასების სულისკვეთებისა.

სოციალ-დემოკრატია არა თუ განზე დგება დაწყებულ ბრძოლაში ის ფაქტიურათ ეხმარება კონტრრევოლიუციას. მხოლოთ მთელი მუშათა კლასის ამოძრავება ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ, სწრაფი და გადამწყვეტი ზომების მიღება შეაკავებს საქსონიის დაკავებას რაიხსვერის ძალებით და ფართო გასაქანს მისცემს რევოლიუციას.

წერილები ბერლინიდან

რეაქცია ფართედ სარგებლობს საალყო წესებით.

მიუნხენში ფონ კარმა აკრძალა გაფიცვები და სიკვდილით დასჯით ემუქრება მუშებს საბოტაჟისათვის. საქსონიაში მიულერმა დახურა კომუნისტური ორგანოები: ხემნიცში „კემპფერ“ და გოტში—„ფოლკსბლატტ“. ბერლინის მიდამოებში თავს იყრის რეიხსვერი. ჩვენ გვარწმუნებენ, რომ შპანდაუში, რომელიც ბერლინიდან 30 წუთის სავალ მანძილზე არის, მოიტანეს 2000 ტყვიის მფრქვეველი და რომ რეაქციას ბერლინსა და მის მიდამოებში 50 000 შეიარაღებული კაცის იმედი აქვს (ციფრები ამოღებულია „კლასენ კამპფ“-იდან).

სამინისტროს კრიზისი და კამპანია, რომელიც დაიწყო პრესამ „კიოლნიშე ცაიტუნგ“-ის და სტინესის დიდი ორგანოს „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ“-ის მეთაურობით, ამტკიცებს, რომ ბურჟუაზიის ახლანდელი შეტევა პირველ ყოვლისა ისახავს ეკონომიურ მიზნებს. მისი უახლოესი მიზანია 8 საათის სამუშაო დღის გაუქმება. უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ მუხლში გერმანიის რეაქცია სავსებით სოლიდარულია საფრანგეთის ბურჟუაზიასთან. უკვე რამდენიმე თვეა, რაც „ტ ნ“-ი აგიტაციას ეწევა სამუშაო დღის გადიდების სასარგებლოთ გერმანიაში და აგრეთვე საფრანგეთში!

იმ წუთში, როცა შოლცმა თავისი ულტიმატუმი წარუდგინა სოციალ-დემოკრატ მინისტრებს, გენერალმა დეგუტმა დიუსელდორფში წარმოადგინა თავისი პირობები მუშაობის განსაახლებლათ. ეს პირობები შემდეგი იყო: გაუქმება კანონისა საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების შესახებ, 10 საათის სამუშაო დღე და სხვა.

(სტინესი, შოლცი, ლიუდენდორფი, დეგუტი, პრიმა დე რივერა,*) როგორ შეთანხმებული არიან ყველა ესენი!

რას ამბობენ სოციალ-დემოკრატიის შესახებ მისი მოკავშირეები.

საინტერესოა, თუ რას ამბობს სოციალ-დემოკრატიაზე გერმანიის ბურჟუაზია, რომელსაც მან ამ ერთი თვის წინათ ასეთი დიდი სამსახური გაუწია.

„დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ“-მა მოათავსა ვინმე „ოდისეის“ წერილი სათაურით „გერმანია და მსოფლიო რევოლიუცია“. მოგვყავს შემდეგი სტრიქონები:

„სანამ გერმანია მსოფლიო გაბატონებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რევოლიუციის იდეა საშიშად მიაჩნდა მას და ზიზღს იწვევდა გერმანიის ბურჟუაზიაში. რევოლიუციონური პრინციპი მან დაუთმო სოციალ დემოკრატიას, რომელმაც, როგორც ზეაღმავალი კლასების წარმომადგენელმა საუცხოვოდ გამოიყენა ეს პრინციპი. მაგრამ მას შემდეგ, რაც გერმანიის სოციალ-დემოკრატია უკვე აღარ არის სოციალისტური პარტია და გადაიქცა შეპყრობილი წვრილი ბურჟუაზიის პარტიათ, მან დაჰკარგა მხსნელი რევოლიუციის იდეა და ეს იდეა, ეს მაცოცხლებელი ელემენტი უკვე აღარ არსებობს გერმანიაში. როცა ამ სტრიქონების ავტორი შეეცადა აეხსნა ომი როგორც მსოფლიო რევოლიუციონური გადატრიალება და გამოეტანა ამ ფაქტიდან პრაქტიკული დასკვნები გერმანიის პოლიტიკისათვის, ის დაეჯახა გაუგებრობას სოციალ-დემოკრატების რიგებში. სოციალ-დემოკრატიამ უკვე შეაქცია ზურგი ისტორიის დიალექტიურად გაგებას და ოცნებობდა მხოლოდ პაციფიზმზე“.

ამ რიგად, როცა ეს დიდი პარტია 1918 წელში შევიდა მთავრობაში, მან ვერაფერი ახალი ვერ შეიტანა გერმანიის ბურჟუაზიის სულიერ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. გაიხსენეთ ბურჟუაზიის იმედების გაცრუება 1918 წლის შემდეგ, როცა სოციალ-დემოკრატიამ სრული უძლურება გამოიჩინა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა დარგებში. გამოირკვა, რომ სოციალ-დემოკრატიას არავინ არ იცნობდა. მისგან მოელოდნენ, რომ ის მოიტანს ახალ ძალებს, იმას, რასაც ასე საჭიროებდა გერმანია. ისტორიის გაბედულ რევოლიუციონურ გაგებას, რომელიც დღევანდელი დღიდან გამოიტანს დასკვნებს ხვალინდელი კეთილდღეობის შესაქმნელად“.

როცა ეს აუცილებელი იყო, ბურჟუაზიამ იცოდა რევოლიუციონური მოქმედება. დღეს, თავისი ბატონობის შესანარჩუნებლათ, იმისათვის, რომ დაიმორჩილოს პროლეტარიატი, ის არ ერიდება ახალ ქერქში გამოხვევას, ის არ ერიდება დემოკრატიულ ნაფლეთების ჩამოგლეჯას და გადაყრას, რომელიც უკვე არ არის საჭირო და დიქტატურის დამყარებას, ეს უკვე არ ერიდება ყოველდღიური კლასობრივი ძალადობის პრინციპათ გადაქცევას და ბურჟუაზია მართალია, როცა ზიზღს უცხადებს სოციალ-დემოკრატიას, რომელიც წინათ შიშს გვრიდა მას, რომელშიც ის წინათ ხედავდა თავის ბატონს, მაგრამ რომელიც შემდეგ, გადამწყვეტ მომენტში მის წინაშე მუხლზე დაემხო.

კომუნისტებზე კი ბურჟუაზია სხვანაირათ ლაპარაკობს: „მარქსიზმი საშინელი მტერია გერმანელი კულტურის,“—სთქვა ფონ-კარმა.

რაზე ლაპარაკობენ ბერლინში.

უკვე ერთი კვირაა, რაც ბერლინში დადის ხმები ნაციონალისტური შეიარაღებული აჯანყების შესახებ, რომელიც უნდა მომხდარიყო ამ ორი დღის წინათ და რომელიც ახლა უნდა მოხდეს ამ დღეებში.

გარდა იმისა, რომ მოელიან მემარჯვენე ელემენტების ამ გამოსვლას, საალყო წესები სრულიად შეუჩნეველია.

გენერალმა გორნმა ვერ გაბედა მიემტებია რაიმე იმ დევნისათვის, რომელსაც ბერლინის პროლეტარიატი ყოველდღე განიცდის გერმანიის მთავრობისაგან

მაგრამ განა დამახასიათებელი არ არის ის, რომ არას დროს იმდენს არ ლაპარაკობდენ რეაქციონური გადატრიალების შესახებ, რამდენსაც ლაპარაკობენ იმის შემდეგ, რაც გენერალი ჰესლერი დიქტატორული უფლებებით აღიჭურვა. კედლებზე გაკრული პატარა ოფიციალური აფიშები კრძალავენ გაზეთების „დერ როტე კემპერ“ და „დი არბაიტერ ფაუსტ“-ის („წითელი მებრძოლი“ და „მუშათა მუშტი“) გაყიდვას და გავრცელებას, მაგრამ ამან, რასაკვირველია, არ შეუშალა ხელი ბერლინელებს წაეკითხათ „დი კლასენ-კამპფ“ („კლასობრივი ბრძოლა“) ამრიგად, მიუხედავათ „როტე ფანეს“ აკრძალვისა, კომუნისტური პარტია ყოველდღე უშვებს ახალ გაზეთს ზოგჯერ ადგილობრივ არალეგალურად, ზოგჯერ კი პროვინციაში დაბეჭდილს. გაცემულია ბრძანება კომუნისტური ფურცლების ხელდებულთა და ფაბრიკა ქარხნებში გამავრცელებელთა დატუსაღების შესახებ.

ყველაფერი იგივეა, როგორც თვითმპყრობელობის დროს რუსეთში.

ებრაელთა მრავალრიცხოვანმა ოჯახებმა ამ კვირაში მიიღეს მუქარის წერილები, რომელთაც ხელს აწერდა „ანტისემიტების ლიგა“. ებრაელებს ემუქრებოდენ, რომ მათ მოელის დარბევა, რომლის დროს „ბავშვებსაც კი არ შეიწყალებენ“.

ყოფილა ხალხი, რომელიც ფიქრობს ამ გზით გადაარჩინოს გერმანიის კაპიტალიზმი.

ფრანგი მონარქისტი ლეონ დოდე ამასვე ურჩევს საფრანგეთის კაპიტალიზმის ასაღორძინებლათ.

რ. ალბერტ.

ბერლინი, 5 ოქტომ.

---

*) ესპანეთის დიქტატორი, გენერალი ფაშისტი.

„პროფკავშირები, ფ ბქარხკომები და მუშათა დეპუტატების საბჭოები“

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი. 23 ოქტომბერი. „პრავდა“-ში იბეჭდება ამხ. ზინოვიევის წერილები სათაურით „გერმანიის რევოლიუციის პრობლემები“.

ერთ-ერთ თავში სათაურით „პროფკავშირები, ფაბქარხკომები და მუშათა დეპუტატების საბჭოები“, ამხ. ზინოვიევი სწერს:

„გერმანიის პროფკავშირები 1917-19 წ. წ. კონტრ-რევოლიუციის მთავარი ფაქტორი იყვნენ. გერმანიის პროფკავშირების აპარატი ასეთი ფაქტორია ახლაც. პროფკავშირების აპარატის დაპყრობას პროლეტარიატი შეიძლება მხოლოდ იმის შემდეგ, როცა მისი აჯანყება გამარჯვებით დაგვირგვინდება. იყო დრო, როცა გავლენიანი ჯგუფი კომინტერნში მოითხოვდა კომუნისტების გამოსვლას ყვითელი პროფკავშირებიდან. კომინტერნმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ამ ჯგუფს. ის მართალი იყო. კომუნისტების მუშაობას პროფკავშირებში ამაოთ არ ჩაუვლია. კომუნისტების გამარჯვება გერმანიის ლითონის მუშათა ყრილობაზე არჩევნების დროს არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა.

გადამწყვეტ როლს გერმანიის პროლეტარულ რევოლიუციაში ითამაშებენ საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტები.

პირველათ საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტები წარმოადგენდნენ პროფკავშირების ორგანოებს, მათ მაშინ ჩალას, რომლებითაც ყვითელი ბელადები სარგებლობდენ თავისი გამყიდველი პოლიტიკის გასატარებლათ. თავისი არსებობის მესამე წელს ფაბქარხკომები უკვე სხვა როლს თამაშობენ; მათ დაიჭირეს პროფკავშირების ადგილი ეკონომიურ ბრძოლაში. მასიური ორგანიზაციების ძებნის დროს, მუშები სტიქიურად იყენებენ ფაბქარხკომებს. პროფკავშირების ხელმძღვანელი—სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ წამოიშვა ფაბქარხკომების [illegible], პოლიტიკური ბრძოლიდან შორს მდგომ დამოუკიდებელ ორგანიზაციებათ გადაქცევის ტენდენციები. მაგრამ ცხოვრებას თავისი გააქვს მუშათა მასებმა განდევნეს ფაბქარხკომებიდან არა მარტო მოღალატე სოციალ-დემოკრატიზმის იდეები, არამედ რევოლიუციონური მარქსიზმის ცრუდ უნიონისტური გადამახინჯებაც.

ფაბქარხკომებში შეიჭრა ჭეშმარიტად კლასობრივი ბრძოლის სული. ისინი სწრაფად ვითარდებიან მთელ გერმანიაში. მათ მიიღეს ფუნქციები, რომლებზედაც უარი სთქვეს პროფკავშირებმა. ფაბქარხკომები იღებენ დასაწყისს ფაბრიკა-ქარხნებში, სახელოსნოებში, მსხვილ სავაჭრო დაწესებულებებში. ფაბქარხკომების მთავარი ფუნქციები შემდეგია:

1. ფაბქარხკომები ხელმძღვანელობენ პროლეტარიატის მთელ ეკონომიურ ბრძოლას.

2. ფაბქარხკომებმა შექმნეს გერმანიაში თავისებური ორგანიზაცია—საკონტროლო კომისიები, რომლებიც ცდილობენ მოაწესრიგონ ფასები პირველ საჭიროების საგნებზე და ბინებზე, ებრძოლონ სიძვირეს და სპეკულიაციას.

3. ფაბქარხკომები ხელმძღვანელობენ გერმანიის პროლეტარიატის შეიარაღების საქმეს. წითელი რაზმები წარმოიშვენ ფაბრიკა-ქარხნებში და სახელოსნოებში. გერმანიის პროლეტარიატის შეიარაღება აუცილებელი წინასწარი პირობაა გერმანიის რევოლიუციის გამარჯვებით დასაგვირგვინებლათ. შეიარაღების საქმეს ხელმძღვანელობენ ვიწრო კონსპირატიული ჯგუფები, ფაბქარხკომები კი აძლევენ მათ ფართე ორგანიზაციულ საფუძველს.

4. ფაბქარხკომები ხელმძღვანელობენ მუშებისა და უპარტიო მასების პოლიტიკურ ბრძოლას.

5. ფაბქარხკომებს მუშების მხარეზე გადმოყავთ ცხოვრებითა სხვა ფენები: ინტელიგენციის ნაწილი, საშუალო და წვრილი გლეხობა.

მთელ რიგ ადგილებში გერმანიის ფაბქარხკომები მოახერხეს თავის მხარეზე ორგანიზაციულად გადმოეყვანათ ამ ფენების წარმომადგენლები. ყველაფერი ეს გააკეთეს გერმანიის ახლანდელმა ფაბქარხკომებმა. ყველაფერი ეს ახლოა რევოლიუციის დროის მუშათა დეპუტატების საბჭოებთან. ფაბქარხკომები ახლა ეწყობიან ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზით—წარმოებითი და ტერიტორიალური პრინციპის მიხედვით. ფაბქარხკომები (გერმანულათ—წარმოებითი საბჭო) სდგება მუშებისა და მოსამსახურეების საერთო შეერთებისაგან. ჰეგემონია პროლეტარიატის ხელშია. კომპარტიამ მოიპოვა ჰეგემონია ფაბქარხკომებში გერმანიის 2000 ქალაქში.

თითქმის მთელ გერმანიაში არის ამ ფაბ-დ საერთო საქალაქო და საოლქო მასშტაბით კარგათ მოწყობილი ორგანიზაცია ფაბქარხკომებისა. ბურჟუაზიის და სოციალ-დემოკრატიის ცდამ—მოეხდინა ლიკვიდაცია საქარხნო-საფაბრიკო მოძრაობისა, დაიგვიანა. ფაბქარხკომების ხელმძღვანელები შეიძლება ჩაგდონ ჯურღმულში, მთელ მოძრაობას კი—ვერასოდეს. ის ფუნქციები, რომელსაც რუსეთში 1917 წელს თებერვლიდან ოქტომბრამდე ასრულებდენ მუშათა დეპუტატების საბჭოები პლიუს ფაბქარხკომები—რევოლიუციის წინა პერიოდში გერმანიაში ასრულებენ მარტო ფაბქარხკომები.

მუშათა მოძრაობის არსებობა სამრეწველო გერმანიაში მეტად მნიშვნელოვანი წინასწარი პირობაა პროლეტარული რევოლიუციის გასამარჯვებლად. პროლეტარიატმა შექმნა მასიური ორგანიზაციები, რომლებიც სრულიად შეიჭრა მუშათა მასების ცხოვრების სიღრმეში. ფაბქარხკომი ხდება უძლიერესი ბერკეტი უკვე მომწიფებული გადატრიალებისათვის.

პროლეტარიატის გამარჯვების მეორე დღეს ახლანდელი ფაბქარხკომებიდან გამოიყოფა: ერთის მხრივ—მუშათა დეპუტატების საბჭოები, როგორც მუშათა მთავრობის ძალაუფლება და, მეორე მხრივ—ფაბქარხკომები, როგორც პირველი საფეხურის ორგანოები ყველაზე ძლიერი პროფკავშირებისა, რომლებიც ეხმარებიან საბჭოთა ხელისუფლებას წარმოების თავის ხელში აღებაში. გერმანიის რევოლიუცია წამოაყენებს ძალაუფლების იმავე ფორმას, როგორც არის ჩვენში—საბჭოთა ხელისუფლებას. მთელი წარმოების, მთელი ძალაუფლების გადასვლა სახელმწიფო მასშტაბით შეკავშირებული მუშათა კლასის ხელში—ასეთია პაროლი. გერმანიის მუშებს არ ესაჭიროება ახლავე, გამარჯვებამდი, თავისი ფაბქარხკომების გადაკეთების მოხდენა.

გლეხთა საბჭოები უნდა მოეწყოს დაუყოვნებლივ, რადგან გლეხები თითქმის ვერ მოხვდებიან ფაბქარხკომებში. რევოლიუციონური ფაბქარხკომები განდევნიან ავანსცენიდან კონტრ-რევოლიუციონურ პროფკავშირებს. ფაბქარხკომებიდან ჩქარა წარმოიშვებიან მუშათა დეპუტატების საბჭოები. მომავალი ძლევამოსილი პროლეტარული რევოლიუცია საბოლოოთ დააყენებს …(გამოტოვებულია) თავის ძირითად ორ ანიზაციას: რევოლიუციონურ პროფკავშირებს, რევოლიუციონურ ფაბქარხკომებს და მუშათა დეპუტატების საბჭოებს“.

სამოქალაქო ომი გერმანიაში

(„ზაკროსტა“-ს ცნობები).

საქსონიის მუშათა ორგანიზაციების კონფერენცია: საქსონიის მუშათა ორგანიზაციების კონფერენციაზე გადაწყდა საერთო გაფიცვის გამოცხადება.

გერმანიის ცენტრალური მთავრობის ჯარები შევიდნენ საქსონიაში, ჯარებთან შეტაკების შემდეგ გამოცხადდა საერთო გაფიცვა.

ბრძოლა ქუჩებში: ჰამბურგის ქუჩებში დაიწყო ბრძოლა მუშებსა და პოლიციას შორის.

გერმანიის სოციალ-დემოკრატია ცდილობს საერთო გაფიცვას ხელი შეუშალოს.

გერმანიის ამბების გამოძახილი: საქსონიაში ჩავიდა რუსეთიდან საქსონიის პროლეტარიატისათვის გაგზავნილი პური.

პრეზიდენტი ებერტი ლეიპციგის ორგანიზაციამ გამორიცხა პარტიიდან.

გირვანქა პური გერმანიაში ღირს ხუთ ნახევარი მილიარდი მარკა.

სეპარატისტული მოძრაობა: სეპარატისტული მოძრაობა მოედო დაპყრობილ ოლქებსაც. საოკუპაციო ჯარი სეპარატისტებს დიდ დახმარებას უწევს.

საქსონიის მუშათა ორგანიზაციების კონფერენცია

საქსონიის მუშათა ორგანიზაციების კონფერენცია.

ბერლინი. 22 ოქტ. საქსონიის მუშათა ორგანიზაციების კონფერენციაზე მონაწილეობას ღებულობდა ფაბრიკა-ქარხნების საკონტროლო კომისიების, მოქმედების კომიტეტების, კოოპერატივების, პროფკავშირების, კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების, სოციალ-დემოკრატიული პარტიის და პროლეტარული ახალგაზრდობის დაახლოვებით 500 დელეგატი. დღის წესრიგში დასმული იყო საკითხები უმუშევრობასთან ბრძოლის და მუშებისათვის სურსათის მიწოდების შესახებ. მაგრამ, მიულერის მოწოდების გამო, კონფერენციამ გადასწყვიტა განეხილა საკითხი მიმდინარე მომენტის შესახებ.

საჭიროა კლასობრივ ძალების ამოძრავება.

ბეკერტმა (სახალხო მეურნეობის მინისტრი, კომუნისტი) თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ახალი მთავრობის მუშაობას აფერხებს კაპიტალისტების საბოტაჟი, ცენტრალური მთავრობის და სამხედრო სარდლობის მოქმედება. მუშათა მთავრობა ვერ გადალახავს დაბრკოლებებს, თუ მას დახმარებას არ გაუწევენ ფართო მასები.

ბეხერმა (ფინანსთა მინისტრი, კომუნისტი) განაცხადა, რომ მუშათა მთავრობის შექმნა უადვილებს პროლეტარიატს ბრძოლას ხელისუფლებისათვის. მაგრამ, სანამ არ მოხდება კლასობრივ ძალთა ამოძრავება, მუშათა მთავრობა ვერ შესძლებს მუშური პოლიტიკის გატარებას. ბეხერმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კაპიტალისტების საბოტაჟი მთავრობას საშუალებას უსპობს შეიძინოს სათანადო საშუალებები სურსათის შესასყიდათ.

აშკარა ომის დასაწყისი.

ბეხერმა განაცხადა, რომ მიულერის და ბავარიის მთავრობის გამოსვლები წარმოადგენენ აშკარა ომის დასაწყისს. საქსონიის მთავრობას არ სურს სამოქალაქო ომი, მაგრამ მას ესმის, რომ ეხლანდელი მდგომარეობის დროს ომი აუცილებელია გადაუდებელ ამოცანას შეადგენს პროლეტარიატის გამოსვლა ერთიანი ფრონტით. საქსონიამ ნიშანი უნდა მისცეს მთელს გერმანიას შეთანხმებულათ გამოსვლისათვის რეაქციის წინააღმდეგ.

დიდი ამბების მოლოდინში.

სოციალ დემოკრატმა, მინისტრმა გრაუპემ ხაზ გასმით აღნიშნა, რომ მუშათა კლასი იმყოფება დიდი ამბების მოლოდინში. მან ბრალი დასდო მრეწველებს კრიზისის შეგნებულათ გამწვავებაში, მუშების ადვილად დათანხმების მიზნით.

საქსონია ხმას მისცემს იმ კანონის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს სამუშაო დღის გადიდებას. საქსონიაში ითვლება 50,000 ზე მეტი უმუშევარი და 400,000 დე მუშა, რომლებიც მუშაობენ კვირაში მხოლოდ რამოდენიმე საათს. მთავრობამ მიიღო დაახლოვებით 2700 ცნობა იმის შესახებ, რომ **მრეწველებს განზრახვა აქვთ დახურონ წარმოებები.** გრაუპემ ხაზი გაუსვა სამხედრო სარდლობის პროვოკაციულ გამოსვლას და გააფრთხილა მუშები თავი შეიკავონ მოუფიქრებელ მოქმედებიდან, მოუწოდა რა პროფკავშირების გარშემო დარაზმვისაკენ.

საკითხი საყოველთაო გაფიცვის შესახებ.

ბრანდლერმა კომუნისტების სახელით მოითხოვა დაუყოვნებლივ საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება საქსონიაში და აღნიშნა, რომ ამ წინადადების მიღებაზე დამოკიდებულია გერმანიის ბედ-იღბალი. საქსონიისაკენ მოიმართებიან მთელი გერმანიიდან სამხედრო ძალები. **თუ საქსონიის პროლეტარიატი ეხლავე არ გამოვა, ის დაჰკარგავს ათასობით სიცოცხლეს.**

მთელი გერმანიის მუშები უცდიან მხოლოდ სიგნალს საქსონიიდან

მოლაპარაკებამ პროფკავშირებთან და სოციალ-დემოკრატებთან არავითარი ნაყოფი არ გამოიღო. განსაკუთრებული მდგომარეობა მოითხოვს განსაკუთრებულ ზომებს.

ბრანდლერმა მოითხოვა მთავრობისათვის უფლებების მიცემა დირექტორიის შესაქმნელათ.

ბრანდლერის გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გლაუპემ გაილაშქრა ბრანდლერის წინადადების წინააღმდეგ და განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატები დასტოვებენ სხდომას, თუ წინადადებას კენჭს უყრიან. ბრანდლერმა შეიტანა წინადადება აირჩიან პარიტეტული კომისია ორთავე პარტიის თვალსაზრისის შესათანხმებლათ. იქვე არჩეულმა კომისიამ ხანგრძლივი თათბირის შემდეგ გამოიტანა კომპრომისული გადაწყვეტილება მოქმედების პარიტეტული კომიტეტის შექმნის შესახებ, რომელიც მდგომარეობის გამწვავების შემთხვევაში, მიმართავს პროფკავშირებს და პარტიებს წინადადებით საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ, ხოლო თუ უკანასკნელები ამაზე უარს განაცხადებენ **გაფიცვა გამოცხადებული იქნება დამოუკიდებლად.**

კენჭის ყრის წინ გამოვიდა ლანდტაგის დეპუტატი, კომუნისტი ზიბერტი, რომელმაც აღნიშნა, რომ **კომპრომისული წინადადება არ აკმაყოფილებს რევოლიუციონურ მუშებს.** მაგრამ ერთიანი ფრონტის გულისათვის ზიბერტმა მოუწოდა წინადადების კენჭის ყრისაკენ. წინადადება მიღებულ იქნა 6 ხმის უმნიშვნელო უმეტესობით.

ვ კენტის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

საქსონიის მუშურ-გლეხური მთავრობა

მინისტრები—კომუნისტები



საქსონიის მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ შემდეგი ამხანაგები:

ამხ. ფრიც ჰეკკერტ

მეურნეობის მინისტრი, პროფესიით კალატოზი 39 წლის. გერმანიის კომპარტიის წევრია მისი დაარსების დღიდან ომისა და ომის შემდეგ ამხ. ჰეკკერტი არა ერთხელ გამხდარა რეპრესიების მსხვერპლი და დიდხანს იჯდა ციხეში რევოლიუციონური მოღვაწეობისათვის.

ამხ. ჰენრიხ ბრანდლერ

სახელმწიფო კანცელარიის უფროსი, პროფესიით—ფეიქარი, 42 წლის. აქტიურ მონაწილეობას იღებს რევოლიუციონურ მოძრაობაში 1898 წლიდან. ის „სპარტაკის“ ერთ-ერთი დამაარსებელთაგანია.

ამხ. პაულ ბეტხერ.

ფინანსთა მინისტრი, პროფესია—ასოთამწყობი. ამჟამად ის 33 წლისაა, 1921 წლიდან ამხ. ბეტხერ არის გერმანიის კომპარტიის ც. კ. წევრი. საქსონიის პარლამენტში ის იყო კომუნისტური ფრაქციის თავმჯდომარე.

საერთო გაფიცვის წინ

გერმანიის კომპარტიის ცეკას მოწოდება

ბერლინი 22 ოქტომბერი. ჰესლერის მიერ აკრძალულ გაზ. „როტე ფანეს“ ორშაბათის ნომერში გამოქვეყნებულია გერმანიის კომპარტიის ცეკას მიმართვა გერმანიის მშრომელებისადმი. მიმართვა მოუწოდებს მუშებს, მოსამსახურეებს, მოხელეებს, გლეხებს და მშრომელ ინტელიგენციას წაბაძონ რუსეთის მუშების მაგალითს, ემზადონ გადამწყვეტ ბრძოლისათვის და შეუერთდენ საყოველთაო გაფიცვას, როდესაც მას გამოაცხადებენ საქსონიის მუშები. ბრძოლის მიზანია, ნათქვამია მოწოდებაში“ მშრომელთა მთავრობის შედგენა, რომელიც უზრუნველ-ყოფს სახელმწიფოს პურით, სამუშაოებით, მშვიდობიანობით, თავისუფლებით და ერთობით. და გაუხსნის მას გზას უკეთესი მომავლისაკენ“.

სოციალ-დემოკრატები აფერხებენ საყოველთაო გაფიცვების გამოცხადებას.

ბერლინი. 22 ოქტომ. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს გერმანიის კომპარტიის ცეკას წევრმა პიკმა განაცხადა, რომ ხემნიცის მუშათა ორგანიზაციების კონფერენციაზე 10 კაცისაგან შემდგარმა კომისიებმა განიხილეს საკითხი საყოველთაო გაფიცვის შესახებ. კომისიის წევრთა უმრავლესობა მომხრე იყო საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებისა, მაგრამ ამას წინააღმდეგობა გაუწიეს სოციალ-დემოკრატებმა, რომელთაც შეიტანეს წინადადება 10,000 საქსონელ მუშების რეიხსვერის რიგებში შეყვანის შესახებ, უკანასკნელთა დემოკრატიზაციის მიზნით ეს დებულება, როგორც ჩანს, არის შედეგი სოციალ-დემოკრატების ცენტრალურ კომიტეტსა და საერთო საიმპერიო მთავრობასთან შეთანხმების.

გრძელდება მოლაპარაკება წინადადების გარშემო.

ამავე დროს ამ საკითხში აწარმოებს მოლაპარაკებას პროფკავშირთა წარმომადგენლებთან ბერლინის კომისიაში, სადაც კომუნისტები აგრეთვე დაჟინებით მოითხოვენ საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებას ბერლინში საქსონიის პროლეტარიატისთვის მხარის დაჭერის მიზნით.

საქსონიის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კონგრესი.

ბერლინი. 22 ოქტომბერი. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კონგრესზე ხემნიცში ბრანდლერმა წინადადება შეიტანა გამოცხადებულ იქნეს საქსონიაში საერთო გაფიცვა და შეუდგენ მუშათა საბჭოს არჩევნებს. ბრანდლერმა აღნიშნა, რომ მიულერის მუქარა მოითხოვს პროლეტარიატისაგან გადამწყვეტ მოქმედებას. შრომის მინისტრმა გრაუპემ, სოციალ-დემოკრატების სახელით პროტესტი განაცხადა. კონგრესმა აირჩია კომისია პარიტეტულ საფუძვლებზე კომუნისტებისა და სოციალ დემოკრატებისაგან. იმ შემთხვევაში, თუ საჭიროება მოითხოვს, კომისია წინადადებას მისცემს მთავრობას გამოაცხადოს გაფიცვა მთავრობა თუ უარს განაცხადებს, მაშინ თვითონ კომისია გამოაცხადებს და გაატარებს გაფიცვას.

ეს კომპრომისული წინადადება მიღებული იყო ხმების უმნიშვნელო უმრავლესობით. დელეგატების უმრავლესობა მოითხოვდა გაფიცვის დაუყოვნებლივ გამოცხადებას.

კონგრესში მონაწილეობა მიიღო 250 კაცმა.

მოლაპარაკება საყოველთაო გაფიცვის შესახებ.

ბერლინი. 23 ოქტ. მოლაპარაკება პარიტეტულ კომისიაში კომუნისტებსა და სოციალ დემოკრატებს შორის გაჭიანურდა. მიუხედავათ იმისა, რომ მრავალი წარმოება მოითხოვს საყოველთაო გაფიცვის დაუყოვნებლივ გამოცხადებას, სოციალ-დემოკრატებმა განაცხადეს, რომ ისინი მხოლოთ მაშინ დათანხმდებიან საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებაზე, როდესაც მოწინააღმდეგე არა კონსტიტუციონურ გზას დაადგება. კომისიის ერთი ნაწილი გაემგზავრა ბერლინს სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებასთან მოსალაპარაკებლათ. სოციალ დემოკრატიის მემარჯვენე ფრთამ გაართულა საქსონიის კოალიციის დამარცხებაც.

საყოველთაო გაფიცვა საქსონიაში.

პარიზი. 24 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ გერმანიის რეიხსვერის შესვლის დროს დრეზდენში. ინციდენტი არ მომხდარა. რეიხსვერის პირნა (დრეზდენიდან სამხრეთით არის) შესვლის დროს კი მოხდა შეტაკება. არის მოკლულები და დაჭრილნი. საქსონიაში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა.

გირვანქა პური—5½ მილიარდი მარკა

ახლოვდება მე-13-ე საათი.

ბერლინი. 22 ოქტომბერი. პურის ფასი 5-ნახ. მილიარდ მარკამდი ავიდა. პურის დუქნები ცარიელია. გრძელდება სასურსათო მაღაზიების დარბევა ჰამბურგში დაარბიეს პურის დუქნები. ღამით უმუშევრებმა მოახდინეს თავდასხმა პოლიციის საღარაჯოებზე. გაგზავნილია პოლიციის გაძლიერებული რაზმები ჯავშნიან ავტომობილებით და ტყვიისმფრქვეველებით. ჰამბურგის ქუჩებზე სწარმოებს ბრძოლა მუშებსა და პოლიციას შორის.

ვანდსბეკში (ჰამბურგის განაპირა უბანი) დაარბიეს პოლიციის სარაიონო სამმართველოები. პოლიციასთან შეტაკების დროს მოკლულია და დაჭრილი მრავალი. მიუხედავათ სამხედრო სარდლობის აკრძალვისა, ნავთსადგურის მუშებმა ჰამბურგში გამოაცხადეს გაფიცვა.

გლეივიცში გამწვავდა სამთომადნო წარმოების მუშების გაფიცვა. გაფიცულია 18.000 მუშა. მოწვეულია საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ყრილობა, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს საკითხი საერთო გაფიცვის შესახებ.

სიმშილს ტყვიით ვერ მოსპობ.

ბერლინი, 22 ოქტომბერი. იმის გამო, რომ ბერლინში გრძელდება მღელვარებანი უსურსათობის ნიადაგზე, პოლიციამ ბრძანება მიიღო მზათ იყოს ბრძოლისათვის.

240.000 უმუშევარი.

ბერლინი, 22 ოქტომბერი. უმუშევართა რიცხვი ბერლინში აღწევს 240.000 კაცს. ამ კვირის ბოლოში დათხოვნილი იქნება კიდევ 300.000 კაცი.

საფეიქრო წარმოებაში მუშების 45 პროც. კვირაში მხოლოდ რამოდენიმე დღეს მუშაობენ.

აჯანყება ჰამბურგში

ბერლინი. 24 ოქტომბერი. ჰამბურგში დიდი არეულობა მოხდა. დარბეულია რამოდენიმე ბაზარი და მრავალი სასურსათო მაღაზია. ქალაქის გარე უბნებში აჯანყებულებმა დაამარცხეს პოლიცია და დაიკავეს საპოლიციო დაწესებულებები. ჰამბურგის ტელეგრაფის სააგენტოს ოფიციალურ ცნობით, რკინის გზა—ლიუბეკ ჰამბურგი აფეთქებულია. აფეთქებულია აგრეთვე ხიდებიც. ძლიერ სროლის შემდეგ პოლიციამ კვლავ დაიკავა საპოლიციო დაწესებულებები. დაპატიმრებულია 30 კაცი, რომლებიც გადაგზავნილი არიან ლიუნებურგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი დეპეშა

კომუნისტური აჯანყება ჰამბურგში

ჰამბურგი. 24 ოქტომბერი. კომუნისტური აჯანყება გრძელდება. ქუჩებში ამართულია ბარიკადები. აჯანყებულები ესვრიან პოლიციას სახლების სახურავებიდან და ფანჯრებიდან. ჯერ-ჯერობით მოკლულია 12 და მძიმეთ დაჭრილია 150. ამ ჟამად გამაგრებულია პოლიცია, რომელმაც შესძლო ჩაექრო აჯანყება ქალაქის განაპირა უბნებში. ქალაქში გამოცხადებულია საალყო წესები. ბაზრების დასაცავად გადმოისხეს ნაღმოსანის ეკიპაჟი.

ბრძოლა ქუჩებში

ემზადებიან ბრძოლისათვის წითელ-საქსონიის და ტიურინგიის წინააღმდეგ.

ბერლინი. 22 ოქტომბერი. ლეიპციგში ჩავიდა რეიხსვერის გაძლიერებული ნაწილები. ჯარების გადასხმა დრეზდენში გრძელდება. მეისხენში ერთმანეთს შეეტაკენ მუშები და კავალერია, რომელმაც ხრმლა აუტეხა მუშებს. მოკლულია და დაჭრილი მრავალი.

ბავარიაში სწარმოებს ჯარების გადასხმა ბამბერგსა და ბაირეტში,—ტიურინგიის მიმართულებით.

რუსეთის პური საქსონიას

პარიზი. 23 ოქტომბერი. ჰამბურგიდან იტყობინებიან, რომ იქ მიიღეს რუსეთიდან ფქვილი საქსონიისათვის.

ებერტი გამორიცხულია პარტიიდან

ბერლინი 22 ოქტომბერი. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ლეიპციგის ორგანიზაციამ 1000 ხმის უმრავლესობით 50 წინააღმდეგ დადგენილება მიიღო გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ებერტის პარტიიდან დაუყოვნებლივ გამორიცხვის შესახებ.

ჩეხიის კომპარტიის მოწოდება

ჩეხო-სლოვაკიის პროლეტარიატის ამოცანაა გერმანიის რევოლიუციისათვის მხარის დაჭერა.

პრაგა, 23 ოქტომბერი. ჩეხიის კომპარტიის ნაციონალურმა კონფერენციამ მიმართა ჩეხო-სლოვაკიის მუშებს, მიწის მუშებს და საშუალო წოდებას მოწოდებით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ფინანსიური და რეაქციონური სამხედრო წრეები ცდილობენ ჩეხო-სლოვაკიის ჩათრევას გერმანიის საქმეებში. ამავე დროს, გერმანიის პროლეტარიატს სურს აიძულოს გერმანელი კაპიტალისტები გადაიხადონ რეპარაციები და აწარმოებს ბრძოლას ვერსალის ხელშეკრულების მთელი სიმძიმის კაპიტალისტებზე გადასატანათ.

გერმანიის რევოლიუცია არ ემუქრება მცირე ერებს. ჩეხოსლოვაკიის პროლეტარიატის ამოცანაა მხარი დაუჭიროს გერმანიის რევოლიუციას და იბრძოლოს მუშურ-გლეხურ მთავრობის დამყარებისათვის ჩეხო-სლოვაკიაში.

მოწოდება მოუხმობს, ომის თავიდან აცილების მიზნით, პროტესტი განაცხადონ გერმანიის ამბებში ჩარევისა და ბლოკადის წინააღმდეგ და მოითხოვონ კეთილმეზობლური დამოკიდებულებათა დამყარება ჩეხოსლოვაკიასა და რევოლიუციონურ გერმანიის შორის.

პოლონეთ-გერმანიის საზღვრის დახურვა

ბერლინი 23 ოქტომბერი. „როტე ფანე“-ს ცნობით, გერმანიის ამბების გამწვავების გამო, პოლონეთის საზღვარი დაკეტილია. საზღვრის მთელ სიგრძეზე გაძლიერებული სამხედრო პატრულები დგანან.

ცენტრალურ მთავრობის წინააღმდეგ

ბავარიის სოციალ-დემოკრატია ჰგმობს მთავრობას.

ბერლინი. 23 ოქტომბერი. ბავარიის ლანდტაგის სოციალ დემოკრატიულმა ფრაქციამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ჰგმობს ბავარიის მთავრობას გენერალ ლოსოვის გამოსარჩლებისათვის, რომელმაც დაარღვია სამხედრო დისციპლინა. **მოწოდება მოითხოვს ლანდტაგის დაუყოვნებლივ მოწვევას.** ბავარიის დემოკრატებიც მოითხოვენ ლანდტაგის მოწვევას.

მასები მხარს უჭერენ საქსონიის წითელ მთავრობას.

ბერლინი. 23 ოქტომბერი. დრეზდენში გაიმართა რეიხსვერის ალლუმი, რომელსაც დაესწრო მიულლერი. **ხალხი მეტად ცივათ შეხვდა ჯარის ნაწილებს.**

გაფიცვები ეკონომიურ ნიადაგზე.

ბერლინი. 21 ოქტომბერი. ჰალლეს სამთომადნო მუშათა კავშირის პრეზიდიუმმა მოუწოდა შუა-გერმანიის სამთო-მადნო მუშებს **გამოაცხადონ გაფიცვა ხელფასის სრულიათ არა დამაკმაყოფილებელ გადიდების გამო.**

ბერლინი. 21-X. გლეივიცის სანახშირო რაიონში დაწყებული საგაფიცვო მოძრაობა ხელფასის სიმცირის წინააღმდეგ მთელს ზემო-სილეზიაზე ვრცელდება. ამ ჟამათ გაფიცულია 10.000 მუშა.

ბერლინი. 21 ოქტ. შუა გერმანიის სანახშირო რაიონის მემადნეოთა კავშირი მოუწოდებს მუშებს ახალი გაფიცვის გამოცხადებისაკენ ხელფასის გადიდებისათვის.

ბავარიის კონფლიქტი ცენტრალურ მთავრობასთან

სეკტის ბრძანება.

ბერლინი. 21 ოქტომ. რეიხსვერის მთავარსარდალი გენერალი სეკტი რეიხსვერისადმი მიმართულ მოწოდებაში აღნიშნავს, რომ ბავარიის გამოსვლა ფიცის გატეხას და ცენტრალურ ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლას ნიშნავს. **სეკტი მოუწოდებს ბავარიის დივიზიებს შეასრულონ მხოლოდ უმაღლეს მთავარსარდლობის ბრძანებები.**

ბრძოლა ჩალდება.

ბერლინი. 21 ოქტ. ჰესლერმა საბოლოოდ გადააყენა ბავარიის რეიხსვერის სარდლობისაგან ლოსოვი და მის ადგილზე დანიშნა კრესენშტეინი. ბავარიის მთავრობამ გამოსცა მოწოდება, რომელშიაც **იგი აბრალებს ჰესლერს ბავარიის შინაურ საქმეებში ჩარევას.** მოწოდებაში ნათქვამია: „მიუხედავათ გაფრთხილებისა, რომ ლოსოვის გადაყენება მძიმე შედეგებს გამოიწვევს, ჰესლერმა გადააყენა ლოსოვი სარდლობისაგან. ამის გამო **ბავარიის მთავრობამ გადასწყვიტა დანიშნოს ლოსოვი რეიხსვერის ბავარიულ ნაწილების სარდლათ**“.

გერმანიის მთავრობამაც გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ბავარიის კონსტიტუციის დარღვევის ბრალდებას უყენებს. „ბავარიის მთავრობა,—ნათქვამია მოწოდებაში,—ცდილობს შეასუსტოს სამხედრო დისციპლინა, რომელიც ამჟამათ, გართულებულ სამხედრო მდგომარეობის გამო, განსაკუთრებით ძლიერი უნდა იყოს“.

გერმანიის პრესა კონფლიქტების შესახებ.

ბერლინი. 21 ოქტ. გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატ“-ი (დემოკრატიულ პარტიის ორგანო) **მთავრობისაგან მოითხოვს გაბედულ გამოსვლას ბავარიის მიერ კონსტიტუციის დარღვევის წინააღმდეგ.**

„ფოსიშე ცეიტუნგი“ (დემოკ. ბის პროგრამის მომხრე) ორგანო აღნიშნავს რომ **მონარქისტები ცდილობენ საქსონიის დარბევით შეასუსტონ დემოკრატიის ძალები.** ბავარიის მთავრობა, რომელიც სისტემატიურათ არღვევს კონსტიტუციას, ადრე თუ გვიან თავს დაესხმება ბერლინს. ბავარიას უნდა წაერთვას ბერლინზე გალაშქრების საშუალება“.

მემარცხენე პრესას მხვილი ბით მოჰყავს ბავარიის მთავრობის მოწოდება, ხოლო იგივე პრესა დუმილით უვლის გვერდს ცენტრალურ მთავრობის მოწოდებას.

სეპარატიული მოძრაობა

სეპარატისტების გამარჯვება ბელგიის საოკუპაციო ოლქში.

ბერლინი. 22 ოქტომბ. რეინის სეპარატისტებმა **გაიმარჯვეს ბელგიის საოკუპაციო ოლქში.** აახენში გერმანელ მილიციას არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია სეპარატისტების 2000-იან დამკვრელ რაზმისათვის. **სეპარატისტული მოძრაობა საფრანგეთის საოკუპაციო ოლქსაც მოედო.**

მაინცში სეპარატისტებმა ხელთ იგდეს მთავრობის ყველა დაწესებულებანი.

სეპარატისტები დიუსელდორფისაკენ გაემართნენ.

გლადბახის აღების შემდეგ, სეპარატისტებმა დახურეს ყველა გაზეთი, რომლებიც წინასწარ ცენზურას არ ემორჩილებოდნენ.

ბონში ფრანგებმა განაიარაღეს გერმანიის პოლიცია. ამის გამო გერმანიის ცენტრალურმა მთავრობამ პროტესტით მიჰმართა ბერლინში მყოფ საფრანგეთის ელჩს.

ბერლინის გაზეთები ბრალსა სდებენ ბელგიის მთავრობას სეპარატისტების მომხრეობაში.

ფრანგები საომარ წესზე დაირაზმნენ.

ბერლინი. 23 ოქტომბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ ბონში მყოფმა საფრანგეთის კომისარმა ქალაქის თვითმმართველობას ბრძანება გაუგზავნა, რომლითაც **საფრანგეთის ჯარს ეკრძალება სეპარატისტების წინააღმდეგ გამოსვლა. საფრანგეთის ჯარი სრულის საომარ წესზეა დარაზმული, არეულობის მოლოდინში.**

სეპარატისტული მოძრაობა რეინის ოლქში.

ბერლინი. 24 ოქტ. **ორშაბათ საღამოს სეპარატისტებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება ვისბადენში. დაწვრილებითი ამბები ჯერ არ მოსულა.**

მაინცში სეპარატისტების ცდა უშედეგოთ დამთავრდა.

კელნსა და ბონნში საფრანგეთის ხელისუფლებმა **გამოსცეს ბრძანება, რომელიც უკრძალავს ადგილობრივ პოლიციას იარაღის ხმარებას სეპარატისტების წინააღმდეგ,** რის გამოც პოლიცია უძლური აღმოჩნდა სეპარატისტებთან ბრძოლაში.

მანნში (ვესტფალია—რეინის ოლქის ჩრდილოეთის ნაწილი) **მოხდა შეტაკება სეპარატისტებსა და კომუნისტებს შორის,** რომლის დროსაც მოკლულია 9 სეპარატისტი და დაჭრილია 6 კომუნისტი.

გლადბახში სეპარატისტების ცდა ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისა უშედეგოთ დამთავრდა და ისინი განდევნილ იქმნენ ქალაქიდან.

ტრივერში სეპარატისტებმა დაიკავეს მთავრობის დაწესებულებები და დააპატიმრეს კოალიციონურ პარტიების წარმომადგენლები, რომელთაც თათბირი ჰქონდათ გამართული საოკუპაციო ხელისუფლებთან შექმნილ მდგომარეობის შესახებ.

აახენში ქალაქის მცხოვრებლებმა უმთავრესად **მუშებმა მოაწყვეს კონტრ გამოსვლა. ამასთანავე მათ მოახერხეს სეპარატისტების განდევნა მათ მიერ დაკავებულ დაწესებულებებიდან და თვითონ დაიკავეს დაწესებულებანი 7 საათის ბრძოლის შემდეგ.**

ვისბადენში სეპარატისტებისათვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით, პროფკავშირებმა გამოაცხადეს გუშინ საყოველთაო გაფიცვა.

მთავრობის „ზომები“

კანონი სამუშაო დღის გადიდების შესახებ.

ბერლინი 24 ოქტომბერი. **გერმანიის სახელმწიფო საბჭომ (რეიხსრატმა) დაამტკიცა ახალი კანონი სამუშაო დღის გაგრძელების შესახებ. კანონის მიღების წინააღმდეგ ხმა მისცეს ქალ. ბერლინის და წითელ რესპუბლიკების,—საქსონიის და ტიურინგიის წარმომადგენლებმა.**

რეიხსვერი საქსონიაში

ბერლინი. 23 ოქტომბერი. პირნში, (საქსონია) ქალაქის თვითმმართველობის დაუკითხავათ დაბინავდა რეიხსვერის ნაწილები. როდესაც რეიხსვერის ნაწილები ქალაქის ქუჩებში მიდიოდენ, ჯარმა მცხოვრებლებს სროლა აუტეხა. სროლა მოიმიზეზეს მით, რომ თითქოს ბრბოდან ჯარს ესროლეს. მოკლულია ერთი მუშა და დაჭრილია სამი.

კომუნისტების გაძლიერებული დევნა.

ბერლინი. 22 ოქტომბერი. შტუტგარტში სამხედრო სარდლობამ დააპატიმრა მრავალი პასუხისმგებელი კომუნისტი საყოველთაო გაფიცვისაკენ მოწოდებისათვის.

ეილში დაპატიმრებულია 21 კომუნისტი, ერფურტში 22 კომუნისტი. ზიულგაუზენში დაპატიმრებული არიან ყველა პასუხისმგებელი მუშაკი კომუნისტები.

ნაუენში დაპატიმრებულია 52 უმუშევარი, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ დემონსტრაციაში.

დაპყრობილ ოლქებში

ქარიშხალის წინ.

ბერლინი. 22 ოქტომბერი. სამრეწველო კრიზისი, უმუშევრობა და სიძვირე, რომელიც გამეფებულია მთელს გერმანიაში, განსაკუთრებით თვალსაჩინოა დაპყრობილ ოლქებში. **წარმოების აღდგენას ხელს უშლის რკინის გზის ტრანსპორტის მოუწესრიგებლობა. ქალაქების ქუჩებზე დადიან უმუშევართა ბრბოები,** რომელნიც თავს იყრიან სასურსათო მაღაზიებთან და მოითხოვენ მათთვის სურსათის მიცემას. საქმე, ჩვეულებრივ, თავდება მაღაზიებისა და სურსათის საწყობების დარბევით.

მდგომარეობა მეტისმეტად გამწვავდა.

ბერლინი. 22 ოქტომბერი. მდგომარეობა რურის ოლქში მეტისმეტად გამწვავდა. რურისათვის ფინანსიურ დახმარების შეწყვეტის გამო, **იბადება საკითხი მუშებისათვის შრომის ხელფასის მიცემის შესახებ.**

გერმანიის ამბების გამოძახილი

ფრანგების ფულზე.

ბერლინი. 24 ოქტომბერი, ინგლისში დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს სეპარატიულ მოძრაობას რეინის ოლქში. საერთო აზრით, ამ მოძრაობას სრულიად არ აქვს საფუძველი ადგილობრივ მოსახლეობაში და ფრანგების ფულით ხელოვნურათ,—არის შექმნილი.

„პელ მელ გაზეტ“-ის აზრით, რეინლანდის მოსახლეობა თვითონ სწრაფათ გაუსწორდებოდა სეპარატისტებს, რომ უკანასკნელთ ფრანგები არ იცავდენ. ინგლისის პრესის ერთი ნაწილი სამარცხვინოთ სთვლის ფრანგების საქციელს და დაჟინებით მოითხოვს სეპარატისტების მფარველობის და, თუნდაც, კეთილგანწყობილ ნეიტრალიტეტის უარყოფას.

ინგლისის პროლეტარიატი მხარს უჭერს გერ ის პროლეტარიატს

ლონდონი. 22 ოქტომბერი. გაზ. „დეილი ჰერალდში“ დაბეჭდილია ფრიად დამახასიათებელი წერილი შემდეგი სათაურით: „მზათ უნდა ვიყოთ“. წერილი აღნიშნავს, რომ **გერმანია იმყოფება საქსონიის და ტიურინგიის სოციალისტურ მთავრობის შეიარაღებული ძალით ჩამოგდების წინ** თუ მუშათა ბრძოლა წარმატებით განვითარდა, დაუყონებლივ დაიწყება მოწოდება ინტერვენციისაკენ. გაზეთი ამბობს: „ამ მოწოდებაზე ბრიტანეთის პროლეტარიატმა ულაპარაკო წინააღმდეგობით უნდა უპასუხოს, რათა თავიდან აიშოროს სამა ნი საყვედური საერთაშორისო ლეტარიატის სოლიდარობის შავ ცემლობისა და დარღვევისათვის“.

ინგლისის მუშათა პარტიის ოფიციალურ ორგანოს ეს განცხადება მაჩვენებელია იმისა, რომ **გერმანიის რევოლიუციის დახმარების პროპაგანდა, რომელიც დაიწყო კომუნისტების ხელმძღვანელობით, იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტი გახდა, რომ მუშათა პარტიას არ შეუძლია გულგრილად უცქიროს მას.**

წითელი ტელეგრამები

რუსეთი.

ხორეზმის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

ხივა, 23 ოქტომბერი. ხორეზმის ყურულტაიმ დაადგინა შესცვალოს ხორეზმის რესპუბლიკის კონსტიტუცია, არა მშრომელ ელემენტებს წაერთმევათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. სახელწოდება „ხორეზმის სახალხო საბჭოთა რესპუბლიკა“ შეცვლილი იქნება სახელწოდებით „ხორეზმის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა“. ახალ კონსტიტუციის გამოცხადებამ დიდის ენტუზიაზმით ჩაიარა.

ყურულტაიმ დაადგინა აგრეთვე დაუტოვოს ვაკუფის მიწები სამღვდელოებას, მაგრამ დაადვას მათ სხვებთან ერთად სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. მიწის საკითხის შესახებ მიღებულ იქნა მთელი რიგი პრაქტიკული გადაწყვეტილებათა. არჩეულია ხორეზმის ს. ს. რ. ცაკი.

წითელი არმიის პოლიტ-მუშაკების თათბირი

მოხსენება პოლიტიკურ სამმართველოს მუშაობის შესახებ.

მოსკოვი. 23 ოქტომბერი. პოლიტიკურ მუშაკთა საკავშირო თათბირზე მოხსენებაში პოლიტიკურ სამმართველოს მუშაობის შესახებ ამხ. ანტონოვ-ოვსეენკომ აღნიშნა, რომ ტერიტორიალურ ნაწილებში გლეხობა შეადგენს 90 პროცენტს, რაც აკისრებს პოლიტიკურ სამმართველოს საპასუხისმგებლო მოვალეობას პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობაში. საჭიროა განმტკიცდეს პარტიული ორგანიზაციები ნაწილებში, გაუადვილოთ უბრალო წითელარმიელებს პარტიაში შესვლა. წლის დასაწყისიდან დაარსებულია პარტიული აღმშენებლობის განყოფილებები, პარტიული აპარატის განმტკიცების მიზნით. დივიზიების პოლიტიკურ განყოფილებათა საკმაოთ კვალიფიციურ პარტიულ მუშაკებით შევსების მიზნით, პოლიტიკურ სამმართველოს განზრახული აქვს მოაწყოს სამხედრო-პოლიტიკური აკადემია 8 თვიანი კურსით, უმაღლეს პოლიტიკური შემადგენლობის დამატებითი განათლების მიზნით. დაარსებულია ერთიანი საატესტაციო კომისიები, პოლიტიკური შემადგენლობის მონაწილეობით იმ მიზნით, რომ კომშემადგენლობა დაინტერესებულ იქნეს არა მარტო სამხედრო, არამედ აგრეთვე პოლიტიკური მუშაობით. საკომანდო შემადგენლობის შერჩევაში მონაწილეობას ღებულობენ პარტიული კომიტეტები.

სამხედრო უმაღლეს სასწავლებლის სკოლებში კომანდირების 88 პროცენტი კომუნისტებია, დანარჩენები—სამოქალაქო ომის დიდი სტაჟით.

სამხედრო სასწავლებლების 76 უფროსიდან 26 პარტიულია. მუშაობა სამხედრო აკადემიაში სწარმოებს განსაკუთრებულ პოლიტსეკრეტარიატის ხელმძღვანელობით. აკადემიის პირადი შემადგენლობის გაწმენდა ნაყოფიერად ჩატარდა.

მომხსენებელმა მიუთითა საკომანდო შემადგენლობის პოლიტიკური ცოდნის შედარებით ნაკლებ პროცენტზე. დასასრულ ანტონოვმა განაცხადა, რომ წითელარმიელის და საკომანდო შემადგენლობის მატერიალური მდგომარეობა ამ უკანასკნელ დროს საგრძნობლათ გაუმჯობესდა.

მოხსენების გამო მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც იწონებს არმიის პოლიტიკურ სამმართველოს მუშაობის საერთო ხაზს.

საერთაშორისო წითელი არმია

ჩვენ შევქმნით საერთაშორისო წითელ არმიას.

მოსკოვი. 28 ოქტომბერი. კვირას **„წითელ მოედანზე კრემლში დიდი ზეიმით გადასცეს წითელ დროშა ცაკის სახელობის 1 საკომანდო სკოლის კურსელებს მოსკოვში მყოფმა გერმანელმა პოლიტიკურმა ემიგრანტებმა.**

მოედანზე დაეწყვენ კურსელების რიგები, დღის 1 საათზე გამოჩნდენ გერმანელი ემიგრანტები წითელი დროშით. მათ ხვდებიან „ინტერნაციონალის“ ჰანგებით.

ამხ. კლარა ცეტკინ ესალმება კურსანტებს გერმანიის კომპარტიის სახელით: „ვსდებთ ფიცს, რომ **გერმანიის მუშები აასრულებენ თავის მოვალეობას რევოლიუციის წინაშე, ისევე, როგორც თქვენ შეასრულეთ თქვენი მოვალეობა ოქტომბრის დღეებში“.**

ინგლისის კომპარტიის წარმომადგენელი სტიუარტი ამბობს, რომ **დღევანდელი ალლუმი მაჩვენებელია იმ სიყვარულისა, რომლითაც გამსჭვალულია მსოფლიო პროლეტარიატი რუსეთის წითელი არმიისადმი.**

საფრანგეთის კომპარტიის წევრი ეკლე ამბობს: „რუსეთის რევოლიუციის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ **რევოლიუციის გამარჯვებისათვის საჭიროა წითელი არმია. მსოფლიო რევოლიუციისათვის საჭიროა საერთაშორისო წითელი არმია.** ჩვენ შევქმნით ასეთ არმიას და კიდევაც გავიმარჯვებთ“.

სენ კატაიმა ესალმება მომავალ კომანდირებს იაპონიის კომპარტიის სახელით.

მოსკოვში არსებულ გერმანულ კლუბის თავმჯდომარე ვუდიხი კითხულობს ბარათს, რომლითაც პოლიტიკური ემიგრანტები მიმართავენ კურსელებს და შემდეგ აძლევს დროშას სკოლის უფროსს. „ურას“ ძახილით დროშა ჩამოატარეს კურსელების რიგების წინ.

კურსანტების სახელით ამხ. კონონოვიჩი აცხადებს, რომ ისინი **თავის მხრივ გადასცემენ საქსონიის პირველ პროლეტარულ რაზმს სკოლის წითელ დროშას.**

საპასუხო სიტყვას ამბობს გერმანიის კომპარტიის ცეკას წევრი ჰერნლე, რომელიც აცხადებს: **„გერმანიის რევოლიუციონური პროლეტარიატი იბრძოლებს თქვენგან მიღებული დროშის ქვეშ“.**

„კომუნისტი“-ს რედაქცია და კანტორა

მიმართავს ყველა ხელისმომწერთ და ექსპედიციის აგენტებს—თხოვნით შეგვატყობინონ ყველა შემთხვევები გაზეთების [illegible] სხვ. შესახებ, რათა საშუალება მოგვეცეს გავიგოთ რა კოჭლებს გაზეთების ტრანსპორტისა და განაწილების საქმე.

დაუყოვნებლივ იქნება მიღებული სათანადო ზომები

ცნობები გამოგზავნეთ გაზ. „კომუნისტის“ კ ა ნ ტ ო რ ი ს მისამართით: ტფილისი, რუსთაველის პროსპ. 24, მეორე სართული.

ტელეფონი ტფილისის ხელის მომწერთათვის 14—76

გერ ის პროლეტარიატის ფონდში პარტიის წევ- ბისა კანდიდატების მიერ ძვირფასი ნივთების ჩაბარების ვადის შესახებ.

საქართველ კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი ძვირფასი ნივთების ჩაბ ის ვადათ ნიშნავს შაბათს, 27 ოქტომბერს. ის ამხანაგები, რომლებიც პატიო მიზეზების გამო ვადაზე არ ჩააბარებენ ნივთებს, პასუხისგებაში იქნებიან მიცემული.

24 ოქტ იდან ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის ფინანსიური განყოფილება მი ძვირფას ნივთებს საღამოობითაც (საღამოს 8 საათამდე).

ტფ. კომიტეტის მდივანი რუბენი.

საქართველოს კომუნ ური პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლ რომ პარასკევს, 26 ოქტომბერს,

ერთი პარტიულ დღეს

განიხილონ საკითხი:

საქართველოს კომ ტიის ამოცანები თანამედროვე მომენტში

საქ. კომ. პარ. ტფილისის მიტეტი იძლევა რა საერთო ხაზის თეზისებს, რომელიც გამოქვეყნებ ი არის გაზ. „კომუნისტი“-ს დღევანდელ ნომერში, მართავს საინსტრუქციო მოხსენებას უჯრედების მდივნებისა და ხელმძღვანელებისათვის, ტფილისის კომიტეტის ბინაზე, ხუ ბათს, 25 ოქტომბერს, საღამოს 6 საა . განხილული იქნება მთელი კონკრეტიული ღონისძიებისა ამ საკით შესახებ.

ტფ. მიტეტის მდივანი რუბენი

მოსკოვის საბჭოს პლენუმში

ტერიტორიალური დივიზიები

მოსკოვი. 24 ოქტ. მოსკოვის ტერიტორიალური დივიზიების საბჭოს პლენუმზე მოსმენილ იქნა ამხ. მურალოვის მოხსენება ტერიტორიალურ დივიზიების მოწყობაზე. დივიზიები შეიკრიბა ვორონეჟის, იაროსლავის და ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიებში. პოლიტიკურ და სამეურნეო საქმის მხრივ დივიზიების თავმოყრამ მოლოდინს გადააჭარბა.

მოსკოვის სახალხო განათლების განყოფილების მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მოსკოვსა და მოსკოვის გუბერნიაში 2,700 სკოლა [illegible] რომლებშიაც 46,812 მოსწავლეა.

პროფტექნიკური განათლება მოსკოვში მოთავსებულია 280 სასწავლებელში. მოსკოვის საბჭოს [illegible] ინახება 50,000 პატრონო ბავშვი.

მოსკოვის საქალაქო ბანკის მოღვაწეობის შესახებ აკეთებულ მოხსენებიდან გამოირკვა რომ საქმე წარმატებით მიდის, კერძოდ მუშებისათვის სესხის მიცემის საქმე. მუშებზე სესხად გაუციათ 50,00 ჩერვონეცი.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

პარტიული აღწერა

სოხუმი. 22 ოქტომბერი. საოლქო კომიტეტი 15 ოქტომბერს შეუდგა პარტიულ აღწერას. მაზრებში რეგისტრატორები დაიგზავნა.

„წითელი კუთხე“

სოხუმი. 22 ოქტომბერი. სხვადასხვა კავშირებში არსდება „წითელი კუთხე“, რომლებმაც მოკლე დროის განმავლობაში დიდი პოპულიარობა მოიპოვეს.

აფხაზეთის კავშირში

სოხუმი. 23 ოქტომბერი. აფხაზეთის კავშირმა მოსკოვში შეისყიდა 2000 ჩერვონეცის სხვადასხვა საქონელი, როსტოვში—10,000 ჩერვონეცისა და კამბრიტის ფირმისაგან 7000 ჩერვონეცის ფართალი.

აზერბეიჯანი

ნავთი და სპარსეთის ბაზარი.

ბაქო. 21 ოქტომბერი. სპარსეთიდან ჩამოსულმა ნავთის სინდიკატის გამგემ ამხ. ვინტერმა გაზ. „ტრუდ“-ის თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველოსთან შეთანხმებულად მუშაობს სპარსელი ვაჭრების ერთი ჯგუფი და შეიძლება ითქვას, რომ აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველო ნდობით სარგებლობს. სრულებით სხვა მდგომარეობაში იმყოფებიან ინგლისელები: მათ წარმომადგენლობა ჰყავთ სპარსეთსა და ხამადანში, თეირანში კი მხოლოდ აგენტი ჰყავთ. მათ ვაჭრობა თითქმის არა აქვთ. ინგლისელები სცდილობენ მეტოქეობა გაუწიონ აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველოს, მაგრამ დადებითს ნაყოფს მაინც ვერ მიაღწევენ. მათი მოღვაწეობა უფრო მეთვალყურეობასა ჰგავს, ვიდრე აღებ-მიცემობას. ჩვენი გავლენა ვრცელდება ქერმანშახის, სულთანაბაზარის და ისპაჰანის სამხრეთით. ნავთის ნაწარმოებნი შარშანდელ ზამთართან შედარებით თითქმის ერთი ორად მეტი შევზიდეთ. ამ სეზონის განმავლობაში 910,000 ფუთი მარტო ნავთი გავყიდეთ. სპარსეთის ბაზარს სავსებით მაშინ გამოვიყენებთ, როდესაც შარშანდელ შეცდომებს გამოვასწორებთ, რომლის მეოხებითაც ცენტროსაწყობებში 50 პროც. ნაკლები თადარიგი გვქონდა.

თურქული ჟურნალი.

ბაქო. 21 ოქტომბერი. გაზ. „კომუნისტ“-ის რედაქცია შეუდგა ორკვირეული ჟურნალის გამოცემას თურქულ ენაზე, სახელწოდებით „[illegible] ყალამ“ პირველი ნომერი ოქტომბრის რევოლიუციის მე-6 წლისთავზე.

სტიპენდიები.

ბაქო. 21 ოქტომბერი. ბაქოს საბჭომ 25 სტიპენდია დანიშნა საბჭოთა პარტიულ სკოლისათვის.

ქ ა რ ი შ ხ ა ლ ი.

ბაქო. 21 ოქტომბერი. 14 ოქტომბრიდან კასპიის ზღვაზე ქარიშხალი მძვინვარებს. ამის გამო 12 ფუტიან რეიდზე ნავთის საზიდავ გემების დაცლა ფერხდებოდა და გემები გზაში ბანდდებოდა. ამან შეაფერხა ნავთის დატვირთვის საქმე. 19 ოქტომბრიდან ქარი მიყუჩდა და რეიდიდან ბაქოსაკენ გამოემართა 1 დაცლილი ნავთის საზიდი ხომალდი.

სომხეთი.

ქარხნების გაფართოება

გუმბრი. 23 ოქტომბერი. გუმბრის კომუნალურ მეურნეობის სამმართველომ დაადგინა, გააფართოვოს ლუდისა და საპნის ქარხნები. ამ საქმისათვის, სახელმწიფო ბანკის [illegible] ლებით, სახალხო კომისართა საბჭოს ეთხოვა, რათა მიეცეს სესხად 15—20,000 მანეთი ოქროთი, ორი წლის ვადით.

კოოპერაციის ზრდა.

ეჩმიაძინი. 23 ოქტომბერი. ვაღარშაპატსა და მთელს ეჩმიაძინის მაზრის კოოპერაცია არაჩვეულებრივ სწრაფი ნაბიჯით იზრდება. ქალაქის ბაზრებზე კოოპერაცია ბატონობს. კოოპერაციები არსებობს ყველა სოფლის ცენტრებში და აგრეთვე სოფლებშიაც.

კულტმუშაობა.

მეგრი. 21 ოქტომბერი. გაიხსნა პროფკავშირთა კლუბი ბიბლიოთეკით, თეატრით და სამკითხველოთი. ნოემბრის პირველში დასრულდება ახალი თეატრის შენობა.

პარტიის ამოცანები მიმდინარე მომენტში

(თ ე ზ ი ს ე ბ ი)

1. ამჟამად გერმანიაში ფრიად მნიშვნელოვანი ამბები ვითარდებიან. გერმანიის პროლეტარიატი კვლავ იკრებს ძალებს თავის კლასობრივ მტერთან, მსხვილ კაპიტალთან გადამჭრელი ბრძოლისათვის.

ამ ბრძოლის შედეგები დიდი ხნით განსაზღვრავენ მოვლენათა განვითარებას არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელი კაცობრიობისათვის.

2. როგორც 1919—20 წლებში მუშათა კლასის რევოლიუციური გამოსვლების დამარცხებამ გერმანიაში, იტალიაში, საფრანგეთში და ინგლისში გამოიწვია რეაქცია მთელ მსოფლიოში კაპიტალის გადასვლა შეტევაზე, მუშათა კლასის ყველა იმ ეკონომიურ მონაპოვართა სრული გაუქმება, რომელიც მუშათა კლასმა მიიღო ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლის შემდეგ და ბოლოს, ყველა კონტრ-რევოლიუციონური ძალების გაერთიანება ერთი მსოფლიო ფაშიზმის სახით, რომელიც ცეცხლით და მახვილით ცდილობს ფიზიკურათ დაამსხვრიოს და მოსპოს პროლეტარიატის ყველა მოწინავე ელემენტები, მოაქციოს ისინი კაპიტალის რკინის ქუსლის ქვეშ,—ისე ახლაც მთელი მტრობა და სიძულვილი ბურჟუაზიისა თავს დაატყდება მსოფლიო პროლეტარიატს იმ შემთხვევაში თუ დამარცხდა გერმანიის რევოლიუცია.

3. და რამდენათაც ექვსი წლის განმავლობაში საბჭოთა რუსეთი წარმოადგენს პირველ ქვეყანას, რომელმაც განახორციელა ახალი, კომუნისტური მშენებლობის პრინციპები, რომლებიც მტკიცედ და შეურყევლათ იკავებენ ძველი, დამპალი ქვეყნის ადგილს; რამდენათაც რუსეთის კომუნისტური პარტია არის ყველას მიერ ცნობილი—ბელადი, მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის ტვინი და სული, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ რეაქციის მთავარი ძალები, იმ შემთხვევაში, თუ მათ გაიმარჯვეს, თავს დაესხმიან ჩვენ ქვეყანას. თუ თავის დროზე, როცა საერთაშორისო ურთიერთობანი სუსტათ იყვენ განვითარებული, როცა სჭარბობდენ მეურნეობის ნაციონალური ჩარჩები პარიზის კომუნის დამარცხებამ გამოიწვია პირველი ინტერნაციონალის დაშლა, ახლა, როცა ყველა ქვეყნები ჩაბმული არიან ერთიანი მსოფლიო მეურნეობის სფეროში, როცა სოლიდარობის შეგნება და თავისი კლასობრივი ინტერესების ურთიერთ-კავშირი შეიქმნა საერთო არა მარტო პროლეტარიატისათვის, არამედ, უფრო მეტად ბურჟუაზიისათვის, ახლა არ შეიძლება არსებობდეს რაიმე ილუზიები იმის შესახებ, რომ გერმანიის რევოლიუციის დამარცხება დაუღუპველ გავლენას არ მოახდენს მთელ მესამე ინტერნაციონალზე, არ შეარყევს თავის საფუძველში მშრომელთა საერთაშორისო ბრძოლის გაერთიანებას, არ დააბრკოლებს მათ ძლიერ ბრძოლას და ჩქარი წარმატების შანსებს.

4. ამიტომაც მოახლოებული ამბები მოითხოვენ ჩვენგან, როგორც პროლეტარულ ავანგარდის ხელმძღვანელ პარტიისაგან, მთელი ძალ-ღონის დაჭიმვას.

ჩვენი პარტიის ყოველმა წევრმა ნათლათ უნდა გაითვალისწინოს მოახლოებულ ამბების აზრი და მიიღოს ყველა ზომები ამ ამბების მომზადებულათ და ორგანიზაციულათ შეხვედრისათვის მხოლოთ ამ პირობით არ გავხდებით ჩვენ ნებისყოფას მოკლებულ, სათამაშოთ აბობოქრებულ პოლიტიკურ და სოციალურ სტიქიონის ხელში, მხოლოთ ამ პირობით შევძლებთ ჩვენ ზედგავლენას დიად კლასობრივ ბრძოლის მსვლელობა-შედეგებზე.

5. პირველს და უმთავრეს ამოცანას, რომელიც დგას ჩვენი პარტიის წინაშე, წარმოადგენს ხალხის შეგნების მომზადება, ფართე მშრომელ მასების სულიერი მობილიზაცია. ჩვენი ძალა—მასებშია. რით უფრო ნათლათ შეიგნებენ ხალხის ფართე მასები დატრიალებულ ამბების აზრს და მნიშვნელობას, როგორც გადამწყვეტ შებრძოლებას საერთაშორისო მასშტაბით ძველ, კაპიტალისტური და მემამულეთა მსოფლიოს და ახალ წესყობილებას, მშრომელთა გაძლიერებულ ძალა-უფლების შორის და არა როგორც მხოლოთ გერმანიის შინაურ საქმეს, რომელიც რუსეთის მუშას და „მუჟიკს“ სრულიადაც არ ეხება; მით უფრო ადვილი გახდება გადამწყვეტ წუთში ბრძოლის სასწორზე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების მშრომელთა კავშირის მძიმე ნებისყოფის დადება, იმ მშრომელთა ნებისყოფის, რომლებმაც შეიგნეს თავისუფლების მოპოების მთელი მნიშვნელობა და ამიტომ ერთი კაცივით გამოდიან თავის მონაპოვართა დასაცავათ.

საჭიროა უფართოესი აგიტაცია, რომელიც განმარტავს ამ ამბების აზრს და ყველა ქვეყნის მშრომელთა ინტერესების ურთიერთ კავშირს, რომელიც კონკრეტულ მაგალითებზე დაამტკიცებს, თუ რატომ არის ჩვენი მუშა და გლეხი დაინტერესებული გერმანიის რევოლიუციის გამარჯვებაში და რა უბედურება მოსდევს მის დამარცხებას.

6. ჩვენმა პარტიამ იცის მშრომელთა აზრის და ნებისყოფის მობილიზაცია. ამას ამტკიცებს მრავალი მაგალითი ახლო წარსულიდან და პირველათ ყოვლისა, ოქტომბრის რევოლიუციის მომზადება, როდესაც რამოდენიმე თვის განმავლობაში ჩვენი ლოზუნგების ქვეშ ჩვენ განვაერთიანეთ მთელი რუსეთის მშრომელნი. მაგრამ ასეთი მობილიზაციის წარმატების წინასწარ პირობას წარმოადგენს ჩვენი პარტიის ყველა წევრთა, გამოუკლებლივ, ბელადებიდან უბრალო მუშაკამდე რევოლიუციონური ენტუზიაზმი. ანთება ამ ენტუზიაზმით, მთელი თავისი არსებით სამხედრო რევოლიუციონურ მდგომარეობის შესისხლხორცება,—აი ის მძლავრი მოთხოვნილება, რომელიც დგას ყოველ ჩვენი ამხანაგის წინაშე.

7. ყოველი მოძრაობის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რათა თვითეულ ცალკე მომენტში მთელი ყურადღება, მთელი ძალღონე მიმართული იქნეს ერთი მიზნისაკენ და მთელი მოქმედება შეუთანხმდეს იმას, უწყობს თუ არა იგი ხელს დასახულ მიზნის მიღწევას. გერმანიის რევოლიუციის გამარჯვება—ასეთია მთავარი მოთხოვნილება, რომელიც უნდა აფერადებდეს ყველა ჩვენ აზრებს და აღფრთოვანებდეს ჩვენ მოქმედებას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ პარტიამ უნდა დაივიწყოს მთელი თავისი მუშაობის ყველა დანარჩენი მხარეები, გარდა სამხედრო და სააგიტაციოსი. ჯანსაღი სული შეიძლება იყოს მხოლოდ ჯანსაღ სხეულში, ხოლო პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის კავშირი განსაკუთრებით მჭიდროა ამჟამად, როდესაც ჩვენ არ მოგვეპოვება მატერიალური მარაგი, როდესაც ჩვენ არ შეგვიძლია არსებობა ძირითად კაპიტალის ხარჯზე, რომელიც ჯერ კიდევ არ არის აღდგენილი, არამედ გვიხდება არსებობა დღევანდელი დღის შედეგებით, იძულებული ვართ ვხარჯოთ ის, რაც დავამზადეთ. და რამდენადაც ჩვენთვის ძნელია ვიქონიოთ იმედი იმისა, რომ ის ბურჟუაზიული ინტელიგენცია და სპეციალისტები, რომელნიც უმთავრესად მუშაობენ სამეურნეო ფრონტზე, მთლიანად გაიმსჭვალებიან შეგნებით, რომ საჭიროა მთელი ჩვენი სამეურნეო მუშაობა შეუთანხმოთ გერმანიის რევოლიუციის ინტერესებს,—ჩვენ პარტიას განსაკუთრებით მტკიცეთ უნდა ეჭიროს თავის ხელში სამეურნეო აღმშენებლობის სადავეები და განსაკუთრებული სიფხიზლე გამოიჩინოს, რათა იგი არ წალეკოს წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიის ტალღამ.

8. საქართველოში, სადაც საბჭოთა წესწყობილება ყველაზე გვიან დამყარდა, როდესაც იდეურ ატმოსფეროს შემამსუბუქებელი სამოქალაქო ომის ქუხილი ფაქტიურად უკვე დამთავრდა, ჩვენ პარტიას არ დასჭირვებია არსებობა და მუშაობა რევოლიუციონურ ბრძოლის პირობებში. ამიტომ ჩვენ თვითონაც ვერ ვამჩნევთ იმას, რომ ჩვენ საკმაოდ ვერ გავემიჯნეთ წვრილ-ბურჟუაზიულ გარემოს, „ობივატელების“ ზნე-ჩვეულებებს, „ობლომოვშჩინას“, „კრუჟკოვშჩინას“, ყველაფერი ეს დაწყნარებულ ამინდში შეუმჩნეველი რჩება და არ გვაწუხებს ჩვენ, მაგრამ მას შეუძლია ხელი შეუშალოს მცურავს, რომელიც გადაექანა რევოლიუციის მძვინვარე ტალღებში. დაუზოგავი ბრძოლა ამ ობივატელურ კეთილდღეობის წინააღმდეგ, ზედმიწევნითი თავისი თავის ანალიზი, უკიდურესი გამიჯვნა ყველა მტრულ ძალებისა და ფენებისაგან—ასეთია დღევანდელი დღის ამოცანა, რომელიც დასმულია მთელი ჩვენი პარტიის და ყოველი წევრის წინაშე.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტ. საპროპ. განყოფილება.

პარტიული ცხოვრება

ცირკულიარულად

ყველა რაიკომებს.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის დადგენილების თანახმად, პოლიტიკურ ცოდნის გასინჯვის შემდეგ ჩვენ უნდა შევუდგეთ საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის წევრების წერა-კითხვის ცოდნის გასინჯვას.

ამისათვის ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს გაატაროთ რაიონში შემდეგი ღონისძიებანი:

1) წინადადება მიეცით პარტიის ყველა წევრებს შეავსონ ანკეტები, რომელნიც ამასთანავე გეგზავნებათ. ანკეტა უნდა შეავსოს თვითეულმა ამხანაგმა უშუალოთ. იმ შემთხვევაში, თუ არიან ისეთი ამხანაგები, რომელთა წერა-კითხვის ცოდნაში (თავისუფლათ კითხვა, კალმის თავისუფალი ხმარება) ეჭვი არ ებადება არც რაიკომებს და არც უჯრედის მდივანს და იმ შემთხვევაში, როდესაც ანკეტის პირადათ შევსება ასეთი ამხანაგის მიერ დაკავშირებულია დროის შეჩერებასთან,—ნებადართულია ასეთი შევსება აწარმოოს უჯრედის მდივანმა რაიკომის სააღრიცხვო-სტატისტიკურ განყოფილებასთან ერთად, რისთვისაც მათ უნდა ისარგებლონ პირადი საქმის მასალით.

2) შევსების შემდეგ ანკეტები დასინჯული უნდა იქნენ რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

მისაბაძი მაგალითი.

შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ ჩემი უკანასკნელი ქონება: ერთი ჯვარისწერის ბეჭედი ერთ მისხალ ნახევრიანი და ნახევარ-მისხლიანი ფირუზის თვლიანი ბეჭედი (ნივთები შეტანილია ც. კომისიაში). ვიწვევ ყველა კომუნისტების ცოლებს (უპარტიოებს), რათა შეიტანონ მათ განკარგულებაში მყოფი ძვირფასი ნივთები გერმანიის პროლეტარიატის ფონდში როგორც მათ ქმრებს შეაქვთ. დარწმუნებული ვარ, რომ თუ ჩვენი ქმრები კომუნისტები დამარცხდნენ საერთაშორისო რევოლიუციაში, ის ჩვენი დამარცხებაც იქნება.

ჩვენც მოვალენი ვართ ჩვენ ქმრებთან ერთად გავსწიოთ საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის უღელი. **მარუსა მირიჯანაშვილი** (კომუნისტის ცოლი, უპარტიო).

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას.

ამხ. ვალიკო კუპატაძის გამოწვევის გამო შემომაქვს, გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ 100.000.000 მანეთი და ჩვენის მხრივ ვიწვევთ ჩვენს კარგ ამხანაგებს: გრ. მოწონელიძეს ხაშურიდგან, მუხნიკაშვილს და ქებაძეს. ს. კაპანაძეს, მ. კაპანაძეს, ნ. ლაცაბიძეს, ივ. ძამიას, ს. პაქსაშვილს, ხაშ. ადმ. გ. აბრამაშვილს, სოგ. ბარბაქაძეს, ხაშ. პარტკომიდან გეგეშიძეს, ვ. პაქსაშვილს, ტ. ბუხრიკაძეს, ხაშ. ტეხნიკუმის და რკინის გზის მასწავლებლებს: ბ. კეკნაძეს, ბ. ძნელაძეს, ირაკლი ფერაძეს, კ. კასრაძეს, ს. ჩანჩაშვილს, ალ. კვაჭაძეს, ხაშ. მე-5 უბნის უფროს ივ. კერვალიშვილს, მისი თანაშემწე გრ. ვალაბუევს, ტეხნიკოსებს კ. ხაჩიძეს, გ. ფილიას, ლ. ხაჩიძეს, საშა ფილიას, ხაშ. სადგ. უფრ. გ. მაჭავარიანს, სადგ. მოლარე ბარბაქაძეს, ქ. გორიდან ს. ცხოვრებაშვილს, გ. მუხნიკაშვილს, ვ. კაჭარავას, გორის მაზრის ჯანმრთელობის განყოფილებიდან ე. გვერწითელს, სურ. სავადმყოფ. გ. ციციშვილს, ფლავას გომის. „იპოდან“ რუხაძეს, კალატოზიშვილს, თაქთაქიშვილს, გომის აღმასკომის თავმჯ. ი. ჩოტიაშვილს და რაიკომის მდივანს ე. პ. აბრამაშვილს.

გ. კალმახელიძე, ა. მაისურაძე.

ამხ. ბიტ. ლეჟავას გამოწვევაზე გიგზავნით სამოც მილიონ მანეთს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ

პოლ. აბესაძე.

ვიღებ ჩემს წვლილს 50,000.000 მანეთს მძიმე მატერიალურ პირობებში მყოფ გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის სასარგებლოთ და ვიწვევ ჩემის მხრივ ქალაქ გორიდან: ამხ. გაბრიელ გვერწითელს, გრიგოლ ზახარიანც, ალფრედ შეფს, გიორგი ბადრიაშვილს, პავლე იაკუტოვიჩს, კონსტანტინე დონდაროვს, მიშა მურადოვს, ილიკო ქილიტაურს, იოსებ კოპინოვს, ევგენი ძინძიბაძეს, არტაშ მარუტოვს, ლევან გაბუნიას, ვანო არჩუაძეს, ქიტა რაზმაძეს, სირა ოთარიძეს და ანდრო გასიევს. გორის მაზრიდან: (ხაშურიდან) ვანო აბრამაშვილს, (სურამიდან) ნიკოლოზ კალანდარაშვილს, (საციხურიდან) სვიმონ ბარბაქაძეს, (ხცისიდან) ალექსანდრე ცხოვრებაშვილს, (გომიდან) იოსებ ჩიტიაშვილს, (რუისიდან) იოსებ მახარაშვილს, (შინდისიდან) სერგო მჭედლიშვილს, (ტყვიავიდან) იოსებ ბუჯიაშვილს, (მეჯვრისხევიდან) ლადო ფსიტიძეს, (კავთისხევიდან) ტიგრან ტერ-ოგანოვს, (ქვემოჭალიდან) შაქრო უზნაძეს, (ახალქალაქიდან) ესტატე მამასახლისოვს, (დირბიდან) მიხეილ ჭყონიძეს, (გორიდან) ლავრენტი ქურდაძეს, (ატენიდან) დავით მელაძეს, და (ახალსოფლიდან) გიორგი ბითარაშვილს.

სერგო ცხოვრებაშვილი

თანახმათ ამხ. პიმენ თალაკვაძის გამოწვევისა, გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლათ შემომაქვს 50,000,000 მან. და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: მელიტონ კავჟარაძეს (ლანჩხუთიდან), ლადო გამბაშიძეს (ჩოხატაური), მიხაკო შარაშიძეს (ბუკის-ციხე), ანდრო რამიშვილს (ვანი), სეფე ბურჭულაძეს (ამაღლება), სოლომონ ცინცაძეს (ლანჩხუთი), ანანი გოგუაძეს (შორაპანი), ილია ფერაძეს (ხაშური), ალექსი ჭყონიას (ლანჩხუთი), პლატონ კვირკველიას (ტფილისი), ივანე გველესიანს (ტფილისი).

მარო ლომინაძე.

თანახმათ ამხ. პიმენ თალაკვაძის გამოწვევისა, გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლათ შემომაქვს **50,000,000 მან.** და ვიწვევ შემდეგ პირებს: გიორგი ივანეს ძე ბოლქვაძეს, (ბახვის სკოლის), გამგე სიმონ ლუკას ძე მამალაძეს (ხიდისთავის შრომის სკოლის გამგე).

მიშო ხიმშიაშვილი.

შემოვიდა 24 ოქტომბერს:

1. დ. ბლაგიძე 1 ჩერვონეცი, 2. გ. მკალობლიშვილი 1 ჩერვონეცი, 3. დ. ნიკოლაიშვილი 1 ჩერვონეცი, 4. ნ. ჭეიშვილი 1 ჩერვონეცი, 5. ნ. დოლიძე 1 ჩერვონეცი, 6. თ. ჩაჩუა 1 ჩერვონეცი, 7. გ. კალმახელიძე და ა. მაისურაძე 100 მილ. მან., 8. პ. აბესაძე 60 მილ. მან., 9. ს. ცხოვრებაშვილი 50 მილ. მან., 10. კ. ზარამაძე 50 მილ. მან., 11. კ. გურგენაძე 64 მილ. მან., 12. გ. ელენტი 50 მილ. მან., 13. ვ. თავართქილაძე 50 მილ. მ., 14. მარო ლომინაძე 50 მილ. მან., 15. მ. სიმვულიძე 50 მილ. მან., 16. გ. მახარაძე 40 მილ. მან. სულ 6 ჩერვონეცი და 564.000.000 მანეთი.

წინეთ შემოსულით: 259 ჩერვონეცი, ნახ გირ. სტერლინგი, 11 ოსმალური ქალ. ლირა, 1 ოქროს ჯვარი, 7 ოქროს ბეჭედი, 2 ოქროს სამაჯური, 1 ოქროს საგული, 1 ვერცხლის ჩაის კოვზი, 15 ვერცხლის მანეთი, 1 ვერცხლის პორტ-სიგარი, და 4.382.732.000 მან

ბების გამგეების მიერ სააღრიცხვო-სტატისტიკურ განყოფილებებთან ერთად და ხდება წინასწარი გადარჩევა.

3) ასეთი გადარჩევის დროს განთავისუფლებულნი არიან გასინჯვისაგან ის ამხანაგები, რომელნიც უდგებიან 7-ე პარაგრაფის I ბ, II და III ხარისხებს და ამხანაგები, რომელთაც სრულებით არ იციან წერა-კითხვა (იხ. დაგზავნილი ანკეტები).

4) დანარჩენ ამხანაგების წერა-კითხვის ცოდნა გასინჯულ უნდა იქნეს სპეციალურ კომისიების მიერ; ეს გასინჯვა შეიძლება მოხდეს, როგორც უჯრედში (იმ შემთხვევაში, თუ იქ არიან 10 ამხანაგზე მეტი, რომელთა ცოდნაც უნდა გაისინჯოს), უახლოეს პარტიულ დღეს, ისე რაიკომშიაც, სადაც თავს იყრიან ამხანაგები მთელ რიგ უჯრედებიდან.

5) გასინჯვა ხდება იქ, სადაც არიან თავის დანიშნულებისათვის შესაფერი შემაგრებული ამხანაგები (მათ გამოსადეგობას თვითეულ უჯრედებისთვის არკვევს რაიკომი ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან ერთად), იქ, სადაც ასეთები არ არიან. გასინჯვა ხდება ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მიერ გაგზავნილ სპეციალურ კომისიების საშუალებით.

6) ის ამხანაგები, რომელთა ცოდნაც უნდა იქნეს გასინჯული, დაყოფილი უნდა იქნენ კატეგორიებათ შემდეგი ნიშნების მიხედვით: კატეგორია პირველი—წერა-კითხვის ცოტათი მცოდნენი. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან ის ამხანაგები, რომელთაც უჭირთ წერა და კითხულობენ მხოლოდ ჩათვლით.

კატეგორია მეორე—წერა-კითხვის მცოდნენი. იმისათვის, რომ ამხანაგები განთავისუფლებულ იქნენ სკოლაში სავალდებულო მეცადინეობისაგან, საჭიროა; ა) თავისუფლათ კითხვა, წაკითხულის გაგება და წაკითხულის აზრის მოკლეთ გადმოცემა (ნაწყვეტები გაზეთებიდან, მოთხრობა და სხვა), ბ) იმდენათ თავისუფლათ და ჩქარა წერა, რომ არ ჩამორჩენ ნელ კარნახს. გრამატიკულ წესების დაცვა არ არის საჭირო. კარნახი უნდა იწერებოდეს წერა-კითხვის ცოდნის აღრიცხვის ანკეტაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც გასასინჯავი ამხანაგი **სრულიათ თავისუფლათ კითხულობს,** მაგრამ უჭირს წერა, კომისია ანკეტაზე აკეთებს **სპეციალურ შენიშვნას იმის შესახებ** და თუ ამხანაგის საერთო განვითარება მაღალ დონეზე სდგას, მაშინ კომისია რაიკომთან ერთად ანთავისუფლებს მას წერა-კითხვის ცოტათი მცოდნეთა სკოლაში მეცადინეობისაგან.

7) წერა კითხვის ცოტათი მცოდნენი და უცოდინარნი პარტიულ დისციპლინის წესით იგზავნებიან 1 და 2 საფეხურის სკოლებში.

8) წერა-კითხვის ცოდნის გასინჯვის ანკეტა პოლიტიკურ ცოდნის გასინჯვის ანკეტასთან ერთად ინახება რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

დუშეთის სამაზრო პარტკონფერენცია

15 ოქტომბერს შესდგა დუშეთის სამაზრო პარტიული კონფერენცია, რომელსაც დაესწრო ტფილისიდან ჩამოსული ამხ. ვანო სტურუა. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება საბჭოთა ფედერაციის შინაურ და საგარეო მდგომარეობაზე და გერმანიის პროლეტარული რევოლიუციის შესახებ. 2. მაზრპარტკომის მოხსენება, 3. მაზრაღმასკომის მოხსენება, 4. ანტისაბჭოთა პარტიების გახრწნის შესახებ, 5. ანტირელიგიური პროპაგანდის ჯამი და მომავალ მუშაობის გეზი, 6. მაზრის ადმინისტრატიულად დაყოფის შესახებ და საბჭოთა არჩევნები, 7. კოოპერაცია, 8. კომკავშირის მოხსენება, 9. სამაზრო კომიტეტის არჩევნები, 10. მიმდინარე საკითხები.

კონფერენცია გაიხსნა ზეიმით სრულ 12 საათზე; პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: 1. ვ. ბოკერია, 2. ი. ბრეგვაძე, 3. გ. ბერბიჭაშვილი, 4. ნ. ბარამიძე, 5. პ. ჩხუტიაშვილი. საპატიო თავმჯდომარეებათ ერთხმად იქნენ არჩეულები: ამხ. ლენინი, სტალინი, ორჯონიკიძე, მახარაძე, ცხაკაია და კონფერენციის ხელმძღვანელი ამხ. ვანო სტურუა.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. სტურუა, რომელმაც მდაბიო, გასაგები ენით დაახასიათა საბჭოთა ფედერაციის საგარეო და შინაური მდგომარეობა, გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლა და მისი მნიშვნელობა მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციისათვის.

მოხსენების გარშემო იყო შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა სათანადო პასუხი გასცა, რის შემდეგ იქნა ერთხმად მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

დუშეთის მაზრის მეოთხე პარტკონფერენციამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. სტურუასი საერთაშორისო მდგომარეობის და გერმანიის რევოლიუციის შესახებ, აღნიშნავს რა გერმანიის პროლეტარიატის აქტიური ბრძოლის თანდათან გაძლიერებას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთვის საჭიროთ სთვლის მისთვის ამ ბრძოლაში მორალურ მატერიალური დახმარების გაწევას. ყრილობა აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთის და პოლონეთის იმპერიალისტები მოინდომებენ გერმანიის რევოლიუციის სისხლში ჩახრჩობას და საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ გალაშქრებას, მუშათა კლასი და გლეხობა იარაღით ხელში მტკიცედ დაიცავენ დიდი ოქტომბრის მონაპოვართ.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საბჭოთა ქვეყნები უდიდესი ამბების წინაშე სდგანან. იმის მოლოდინში, რომ გაერთიანებული იმპერიალისტური ფრონტი მოინდომებს ჩვენზედ შემოტევას. ჩვენ ეხლა უფრო, ვიდრე ოდესმე, გვჭირია სრული ერთსულოვნება და მზად ყოფნა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის დაცვისათვის. გაუმარჯოს გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს! მუშათა და გლეხთა მსოფლიო კავშირს! გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის სამხედრო შტაბს მესამე ინტერნაციონალს!

მაზრპარტკომის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ბოკერია. მოხსენების გარშემო გაიხსნა კამათი, რომლის შემდეგ მაზრკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

მოსმენილ იქნა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბრეგვაძის მოხსენება აღმასკომის მუშაობის შესახებ, რომელიც კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად იცნო.

გაირჩა სხვა საკითხებიც, რომელზედაც კონფერენციამ გამოიტანა თავისი დადგენილებები. კონფერენციამ გასტანა ორ დღეს. ახალ სამაზრო კომიტეტი იქნა არჩეული შემდეგი შემადგენლობით:

1. ბოკერია, 2. ბრეგვაძე, 3. ჩხუტიაშვილი, 4. ბერბიჭაშვილი, 5. მარქვაიძე, 6. ლალიაშვილი, 7. ვერძეული.

კანდიდატებათ: 1. აროშიძე, 2. ლაფანაშვილი, 3. ბრეგვაძე.

სარევიზიო კომისიაში: 1. ლეჟავა, 2. შარაშენიძე, 3. ბუჩაშვილი და კანდიდატათ ახპეტელოვი.

აღსანიშნავია ამხ. ვანო სტურუას მონაწილეობა კონფერენციაზე, რომელსაც კონფ. დელეგატები და გლეხები სულ გარს ეხვეოდნენ და აძლევდენ ათასნაირ კითხვებს მიწის დამუშავების გაუმჯობესების, ბაღების მოშენების, ტყის მოვლის შესახებ და სხ. კონფერენციამ სთხოვა მას მაზრაში ერთი ტრაქტორის გამოგზავნა; ამხ. სტურუამ აღუთქვა კონფერენციას ცეკასთან ერთად ამ საკითხის მოგვარება.

ს. ლეჟავა.

ტფილისის საბჭოს პლენუმი

(22 ოქტომბრის სხდომა)

ტფილისის აღმასკომის ფინანსიური მდგომარეობა

(ამხ. მესხის მოხსენება)

დაახლოვებითი საორიენტაციო ხარჯთ-აღრიცხვა მოსმენილი და დამტკიცებული იყო საბჭოს მიერ, მაგრამ მუშაობის მსვლელობაში, 2 აპრილის დეკრეტის შემდეგ საჭირო გახდა ცვლილებების შეტანა. თითქმის ყველა უწყებებს შეუმცირდა მისაცემი თანხები, რადგან შემოსავალი მცირე შეიქნა.

ვინაიდან ივნისში ხარჯთ-აღრიცხვა დაუახლოვდა ცოტად თუ ბევრად რეალურს და 2400 ათას ოქრ. მან. შემოსავალი იყო, ეს რიცხვი იქნა საფუძვლად დადებული და ამის მიხედვით შემუშავდა ხარჯთ-აღრიცხვის გასავლის ნაწილი. უნდა აღინიშნოს, რომ შემცირება შეეხო უმთავრესად თანხებს, რომელიც წარმოებათა ამორტიზაციაზე იხარჯებოდა.

ხარჯთ-აღრიცხვის გასავლის ნაწილი დღეს უდრის: 1) აღმასკომის ხარჯები—37 081 მან. 64 კაპ., 2) კომუნალური მეურნეობის—3 296 მან. 37 კაპ. 3 შენობების და ბაღების შენახვა 8.773 მან. 44 კ. 4) ქალაქის კეთილ-მოწყობა 17.136 მან. 97 კაპ. 5) ქალაქის წარმოებანი და მეურნეობა—80.000 მან., 6) ცეცხლის საწინააღმდეგო ზომებისათვის—6.033 მ. 47 კაპ., 7) გზების შენახვა—3.330 მან. 8) სახალხო განათლებისათვის—20. 973 მან. 4 კ. 9) ჯანმრთელობის დაცვისათვის—38.611 მან. 79 კაპ. 10) სასოფლო მეურნეობისათვის—4.629 მან. 60 კაპ. 11) სამხედრო ხარჯები—17.024 მან 95 კაპ. 12) სოციალურ უზრუნველყოფისათვის—2.019 მან 40 კაპ. და 13) სხვა ხარჯები 1076 მან. 33 კ.

საერთოდ ხარჯთ-აღრიცხვა შესრულებულია 60 პროცენტით, მაგრამ ამავე დროს შემჩნეულია შემოსავლის ზრდა, რამაც საშუალება მისცა აღმასკომს 125 ათასი მან. გადაედო კომუნალური ბანკისათვის, რომელიც 1 ნოემბერს გაიხსნება და ყოველთვიურათ 18 ათასი მანეთი გაეღოს ზემო ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის საჭიროებისათვის.

ზემოავჭალის სადგური.

სურათის შესავსებათ, საჭიროა ორიოდე სიტყვა ითქვას ზემო-ავჭალის სადგურზე. მუშაობა სწარმოებდა ტფ. აღმასკომის ფინანსიური ხელისშეწყობით და ა. | კ. ფინ. სახ. კომისარიატის ფინანსიური დახმარებით. მუშაობის დაწყებიდან დღემდე სამუშაოზე დაიხარჯა 1.800 მანეთი, რაც შეადგენს დაახლოვებით გასაკეთებელ საქმის ერთს მესამედს. ამ ჟამად ზაჰესკომს აქვს 300 მილიარდი მანეთი, რაც აღმასკომის ყოველთვიურ თანხების მიცემასთან ერთად საშუალებას იძლევა მუშაო- [illegible] ლევამდე.

ფინანსიური პერსპექტივები.

ხარჯთ-აღრიცხვის საშემოსავლო ნაწილი თანდათ იზრდება გარდა ამისა სწარმოებს მუშაობა, შესაძლებელი გადასახადების ჩასატარებლად, რაც მიმდინარე წელს ქალაქს 100 ათას მანეთს შემოსავალს მისცემს. ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა წრეულს უსათუოდ უკეთესია, ვიდრე 1921 და 22 წელს.

რეზოლიუცია.

კითხვებზე პასუხის გაცემის და კამათის შემდეგ, პლენუმმა დაადგინა დაამტკიცოს წარმოდგენილი მოხსენება ხარჯთაღრიცხვაში მომხდარ ცვლილებებსა და შემოკლების შესახებ და ამავე დროს წინადადება მისცეს პრეზიდიუმს მომავალ წლის ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს გადასახადების სწორი განაწილების მიზნით სამუშაოდ მოიწვიოს საბჭოთა წევრები.

კოოპერაცია

კოოპერატიულ ორგანიზაციების თათბირი

რამოდენიმე დღის წინეთ სრულიად რუსეთის კოოპერატ. ბანკის განყოფილების ბინაზე შესდგა საქართველოს კოოპერატიულ ორგანიზაციების თათბირი. თათბირის გახსნისას ბანკის წარმომადგენელმა ამხ. ქეკულინმა, უამბო რა კრებას კოოპერატიულ ბანკის დაარსების ისტორია, განმარტა თათბირის საგანი, რომელიც მდგომარეობს იმ საკითხების გამორკვევაში, რომლებიც დაკავშირებული არიან ტფილისის განყოფილების დაარსებასთან და აგრეთვე შეთანხმებულ მუშაობასთან მომავალ წელში სრ. რუს. კოოპერატიულ ბანკისა და ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებს შორის.

შემდეგ თათბირი გადავიდა სააღრიცხო კომიტეტის ორგანიზაციის საკითხზე. ამხ. ქეკულინმა ამ საკითხზე განაცხადა, რომ თანახმად სრ. რუს. კოოპერატიულ ბანკის დამაარსებელ კოოპერატ. ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ დადებულ დამფუძნებელ ხელშეკრულებისა, სააღრიცხო კომიტეტი არსდება პარიტეტის საფუძველზე საწარმოო სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერატ. ორგანიზაციებს შორის. ასეთია ცენტრისა და მისი განყოფილებების სააღრიცხო კომიტეტების პრაქტიკა და ასეთივე უნა იყოს ტფილისის სააღრიცხო კომიტეტის საფუძველიც.

შემდეგ სხვადასხვა კოოპერატ. ორგანიზაციებს შორის ადგილების განაწილების საკითხის გარჩევისას ქალ. ტფილისის სააღრიცხო კომიტეტის ორგანიზაცია შემდეგნაირათ გამოისახა: საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას ეთმობა 3 ადგილი ამ.-კავ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებას—1, „ცენტროსოუზ“-ს—1, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას—2, სომხეთის შერეულ კავშირს—2, საქ. პროფკავშირთა საბჭოს—1, საქართვ. კოოპერატ. ბანკს—1 და სრ. რუს. კოოპერატ. ბანკის ადმინისტრაციას—2, მაშასადამე სულ იქნება 14 ადგილი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(24 ოქტომბერი).

ჩერვონცები	71,500
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	65,500
ჩეკები	59,500
დოლარები ეფექტ.	14,700
ჩეკები	13.600
ოსმ. ქაღ. ლირა	6.900
იტალიური ლირა	450
ფრანგული ფრანკი	675
საბჭ. ფულის ნიშნები	12

მუშკოპის ფასები.

(24 ოქტ.)

პური 1 ხარ.—350 ათ., პური 2 ხარ.—300, ძროხის ხორცი—1 მილ. ცხვრის ხორცი—1350 ათ., მაკარონი—1060 ათ. კარტოფილი—85 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები

(24 ოქტომბერი.)

პური 1 ხარ. გირ. 450—500 ათასი, პური 2 ხარ.—300, ძროხის ხორცი—1200, ცხვრის ხორცი—1500, შაქარი რაფინ.—2950 ათ. ფხვნილი შაქარი—2650. ათ. ბრინჯი ალდამ.—670 ათ. მაკარონი 1 მილ. კარტოფილი 125—150.

ბირჟის მიწოდება.

(24 ოქტომბერი)

ლურსმნები, აბრეშუმი (დაურთავი) კანიფოლი, ცენტრო კავშირის ჩაი, სპილენძი (წითელი), ქიმიური ნაწარმოები. ფანჯრების მინა. კაუსტიური სოდა. სკიპიდარი ფრანგ. შაბიამანი ინგლ. ბორჯომის ქარხნის ღვინის ქურქელი. სალომასი. ყუბანის ფქვილი. ცემენტი და ეტერნიტი ნოვოროსიის. პორტლანდის ცემენტი. ტეხნიკური ცხიმი. ურალის რკინეულობა. ასანთი, რუს. მანუფაქტურა რუსეთის და იტალიური. საპონი.

ბირჟის მოთხოვნილება.

(24 ოქტ.)

აბრეშუმი დაურთავი, ჩაი ჩინეთის. პორტლანდიის ცემენტი. სალომასი. მზესუმზირას ზეთი. საკანდიტერო ყუბანის ფქვილი. შაქარი რაფინადი. ტეხნიკური ცხიმი. ასანთი რუს. ქვამარილი ნახიჩევანის და ბახმუტისა.

საქონლის ბირჟის განწყობილება.

(24 ოქტომბ.)

რკინეულობის და ქიმიური საქონლის ბაზარზე განწყობილება სუსტია. დანარჩენ ბაზრებს დიდი ცვლილება არ ეტყობა.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

20 ოქტომბერს ბირჟის გარეშე დადებულია 13 გარიგება, სულ 24922 ჩერვ. მან. თანხისა.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

(24 ოქტ.)

დღეს როგორც ჩერვონცებმა, ისე საგარეო ვალიუტამ საგრძნობლად იმატა, გარდა ოსმალ. ქაღალდის ლირისა, რომლის კურსი ეცემა.

შირაქის ნავთის კონცესია

საქართველოს ნავთის მრეწველობის განვითარების მიზნით საქ. მთავრობის მიერ დადებულია იტალო-ბელგიის სამთო-სამრეწველო საზოგადოებასთან საკონცესიო ხელშეკრულება შირაქის ნავთის (სიღნაღის მაზრაში) ექსპლოატაციის შესახებ. ეს პირველი შემთხვევაა საგარეო კონცესიისა საქართველოში და ამიტომ მოგვყავს მისი მთავარი დებულებანი:

კონცესიის საერთო ვადა გაყოფილია ორ პერიოდათ: გამოკვლევისა და საექსპლოატაციო. პირველი პერიოდის ვადა განისაზღვრება 3 წლით, რომლის განმავლობაში კონცესიონერი ვალდებულია მოახდინოს გეოლოგიური გამოკვლევანი სამთო კომიტეტის კონტროლის ქვეშ. საერთო სივრცე იმ მიწებისა, რომლის გამოკვლევის უფლება აქვს კონცესიონერს, შეადგენს 18 ათას დესეტინას. ამ მიწების სარგებლობისათვის საზოგადოება ვალდებულია შეიტანოს ხაზინაში პირველ წელს 5,000 ოქრ. მანეთი. თავის ვალდებულების ასრულების უზრუნველსაყოფად საზოგადოებას შეაქვს საწინდრათ 20,000 ოქრ. მან.

18 თვის განმავლობაში კონცესიონერი ზემოხსენებულ მიწის სივრციდან თვითონ ირჩევს 375 დესეტინას, სადაც იგი მოვალეა აწარმოვოს დეტალური კვლევა მექანიკური მოწყობილების საშუალებით (ღრმა გაბურღვა).

პირველი წლის შემდეგ, გარდა აღნიშნულ 5,000 მანეთისა, კონცესიონერმა უნდა შეიტანოს ყველა მის განკარგულებაში გადაცემულ მიწებში ზედა-პირის სარგებლობისთვის კიდევ 50 კაპ. თითო დესეტინაზე.

კვლევის პერიოდის დროს ნავთის ნახევარი ნაშოვარი გადადის სახელმწიფოს განკარგულებაში უსასყიდლოთ, ხოლო ამ ვადის გათავების შემდეგ (ე. ი. 3 წლის) კონცესიონერს ეძლევა მხოლოდ 100 დესეტინა საექსპლოატაციოდ. ამ 100 დესეტინის იჯარის ვადა ითვლება მიცემის დღიდან, როგორც საექსპლოატაციო, და განისაზღვრება 30 წლით.

ექსპლოატაციის დროს იჯარის ძლევის მაგივრად კონცესიონერი აძლევს სახელმწიფოს ფრანკო-ნავთის სარეწავი ან ფრანკო-რკინის გზის სადგური (უკეთუ რკინის გზა სად. წნორის-წყლამდინ საზოგადოების მიერ იქნება გაყვანილი) ნაწარმოების 15 პროცენტს. დანარჩენი ნაწილი კონცესიონერის სრულ განკარგულებაში გადადის; ამასთანავე მას უფლება აქვს ნაწარმოების საერთო წესით საზღვარგარეთ გაზიდვისა.

საქართველოს მთავრობას ეძლევა უპირატესობა, გარდა აღნიშნულ 15 პროცენტისა, იყიდოს კონცესიონერისაგან 50 პროც. ნავთის წმინდა ნამუშევრიდან, ლონდონის ბირჟის ფასებში, ფრახტის გამოკლებით.

კონცესიონერი ვალდებულია მუშების დაქირავება მოახდინოს საქართველოში, მაგრამ საზოგადოებას უფლება აქვს გამოიწვიოს საზღვარ-გარეთიდან კვალიფიციური მოსამსახურენი და ხელოსნები საქ. შრომის კომისარიატთან შეთანხმებით, თუ სათანადო ძალები ადგილობრივ არ მოინახება.

გარდა მოყვანილ ვალდებულებათა, კონცესიონერმა სავსებით დაიცვას ყველა დეკრეტები და კანონიერი განკარგულებანი შრომის დაცვის, მშრომელთა დაზღვევის და სხვათა შესახებ. კონცესიის ვადის გასვლის შემდეგ საზოგადოების მიერ გაკეთებული შენობანი, ყველა სამრეწველო მოწყობილება, მილები და სხვ. უსასყიდლოდ გადადის საქ. მთავრობის განკარგულებაში.

აი მოკლეთ ის მთავარი დებულებანი, რომლებიც დაიდო საფუძვლად საკონცესიო ხელშეკრულებას.

ხე-ტყის მრეწველობა საქართველოში

სატყეო [illegible] აკავშირებდა 22 წარმოებას, რომელთა შორის 17 მოქმედობს, 4 უმოქმედოა და 1 იჯარით არის გაცემული.

17 მოქმედ წარმოებიდან ორი—ტფილისშია; ეს არის ხე-ტყის ქარხანა № 3 და გაერთიანებული წარმოება-გრეხილ ავეჯეულობის ქარხანა და ხის დამმუშავებელი სახელოსნო. პროვინციაში 15 წარმოებაა, რომელთაგან 8—ხე-ტყის სახერხი ქარხანაა, ხოლო 7—ხე-ტყის დამზადების რაიონები. ქვემოთ მოყვანილია ცნობები ტფილისის ორ წარმოების მუშაობის შესახებ სექტემბრის განმავლობაში და დანარჩენ წარმოებების—აგვისტოს განმავლობაში.

სექტემბერში ტფილისის ორ წარმოებაში და ცენტრალურ გამგეობაში იყო სულ 109 მუშა და 35 მოსამსახურე, პროვინციალურ წარმოებებში აგვისტოში იყო: 8 ხე-ტყის სახერხ ქარხნებში—131 მუშა და 20 მოსამსახურე, 7 ხე-ტყის დამზადების რაიონში—27 მუშა და 34 მოსამსახურე

სექტემბრის განმავლობაში ტფილისის გაერთიანებულ წარმოებაში დამზადებული იყო სულ 731 ცალი გრეხილ და სადურგლო ავეჯისა (სკამები, სავარძლები, კრაოტები და სხვა).

იმავე წარმოებამ სექტემბერში დახარჯა ხე-ტყის ნედლი მასალა რაოდენობით 653 კვ. ვერშოკი, ანუ მთელი არსებულ მარაგის 3,4 პროც.

ტფილისის ხე-ტყის სახერხი ქარხანამ იმავე თვის განმავლობაში დაამზადა 11700 კვ. ვერ. დახერხილი ხე-ტყე, ხოლო დახარჯა: ნედლი მასალა,—მორი 13418 კვ. ფუტისა ანუ მთელი არსებულ მარაგის 30 პროც.

პროვინციის სახერხმა ქარხნებმა—ფოთის №№ 1 და 2, წაბლარისხევის და ქუთაისის ქარხნებმა აგვისტოს განმავლობაში გამოიმუშავეს 29604 კვ. ვერშოკის დახერხილი ხე-ტყე, ხოლო დახარჯეს: მორი 28367 კვ. ფუტისა ანუ მორის მთელი მარაგის 40 პროც.

ხე-ტყის დამზადების რაიონებში, მოიჯარადრეებისა და დღიურ მუშათა მონაწილეობით, აგვისტოში დამზადებული იყო საერთოთ 15,072 ჩერვ. მანეთად ღირებული სხვადასხვა ხე-ტყის მასალა. 7 დამამზადებელ რაიონიდან აგვისტოში მუშაობდა [illegible] ასე რომ მორის დამზადება და გადმოგზავნა [illegible] ბით ხვდა წილათ ფოთის და აწყურის რაიონებს, ძელებისა და შპალებისა—ფოთის რაიონს და შეშის—ფოთის, ხაშურის და შორაპნისას. რაც შეეხება წარმოებათა ნედლი მასალით უზრუნველყოფას, თუ ანგარიშში არ ჩავთვლით სახერხი ქარხნების მუშაობის რამოდენიმეჯერ მცირერიცხოვან შეჩერებას,—წარმოებები სავსებით არიან უზრუნველყოფილნი. ისინი რეგულიარულათ იღებენ მასალას ახლო მდებარე დასამზადებელ რაიონებიდან.

კერძოთ, ტფილისის ქარხანა № 3 მორს იღებს აწყურის დამამზადებელ რაიონიდან, საიდანაც ხე-ტყე მტკვრით მოდის.

სექტემბრის განმავლობაში ტფილისის გაერთიანებულმა წარმოებამ გაასაღა და გაყიდა: სადურგლო და გრეხილი ავეჯა—750 ცალი, 5660 ჩერვ. მანეთის თანხაზე. სახერხ ქარხნის № 3-ის დახერხილ ხის მასალის რეალიზაცია გამოიხატება შემდეგი ციფრებით: 12642 კვად. ვერშოკი, 10153 ჩერვ. მანეთის თანხაზე. პროვინციის სახერხ ქარხნებმა გაასაღეს 36090 კვ. ვერ. დახერხილი მასალა 23458 ჩერვ მან. თანხაზე.

ხე-ტყის დამზადების რაიონებმა აგვისტოს განმავლობაში გაასაღეს 28349 ჩერვ. მან. და 50 კაპ. ღირებული სხვადასხვა მასალა (მორი, ძელი, შპალი, შეშა და სხვა)

ტრესტის და უძლიერეს მეტოქეებათ პროდუქციის რეალიზაციაში შეიძლება ჩაითვალონ: ადგილობრივ ბაზარზე—ამ.-კავ. რკ. გზათა სამმართველოს სატყეო განყოფილება, რომელიც დამოუკიდებლათ აწარმოებს ხე-ტყის დამზადებას, ხოლო გარეშე ბაზრებზე—აზერბეიჯანი, რუსეთის ტრესტი და სპარსეთი.

ტრესტის უკანასკნელ დროის მსხვილ გარიგებებში უნდა აღინიშნოს: ხელშეკრულება ახალციხის აღმასკომთან, რომელიც აძლევს ტრესტს საექსპლოატაციოთ 1924 წლის განმავლობაში აწყურის ტყის რაიონს, რომელშიაც შეიძლება დამზადდეს სულ 5000 მორი, და ხელშეკრულება აზნავთთან 11000 ცალი ძელის დამზადებაზე, რაც წარმოადგენს 66 600 ჩერვ. მანეთის ღირებულებას.

სახალხო კვების კავშირის სრულიად საქართველოს მე-3 ყრილობა

21 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, მბეჭდავთა კლუბის შენობაში გაიხსნა სახალხო კვების კავშირის სრულიად საქართველოს მესამე ყრილობა. ყრილობას ხსნის ამხ. ნოვრუზოვი, რომელიც უსურვებს მას, რომ კავშირის სრულიად საქართველოს მეოთხე ყრილობა გახსნილიყოს შრომის კაპიტალზე საბოლოო გამარჯვების პირობებში.

ყრილობის პრეზიდიუმში არჩეული არიან შემდეგი ამხანაგები: ბოლშოვი (კავშირის ცეკას მდივანი), არჩვაძე, უნგნაძე, მენდარიშვილი, ჯიქია ვალენტინი.

ყრილობას სრულიად რუსეთის სახალხო კვების კავშირის სახელით მიესალმა ამხ. ბოლშოვი.

ამხ. ბოლშოვი აღნიშნავს, რომ სახალხო კვების კავშირი საქართველოში საორგანიზაციო პერიოდში იმყოფება. სახალხო კვების მუშები მთელს რუსეთში ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდიან რუსეთის მუშათა კლასთან. კავშირის ცეკა დარწმუნებულია—ამბობს ამხ. ბოლშოვი,—რომ სრულიად საქართველოს კავშირი, რომელიც ნაწილია რუსეთის საერთო პროფმოძრაობის, აქტიურათ მხარს დაუჭერს მთლიანი ფრონტის იდეას და საჭირო დახმარებას გაუწევს გერმანიის პროლეტარიატს იმ ბრძოლაში, რომელსაც ის აწარმოებს შრომის განთავისუფლებისათვის კაპიტალის უღლისაგან.

ახალგაზრდათა კომკავშირის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. სარქისოვი.

მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა პროფინტერნს, სრულიად რუსეთის კავშირის ცეკას, ამხ. ლენინს, ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს და საქართველოს კომპარტიის ცეკას.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. ტალახაძის მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი შეჩერდა ბულგარეთის და გერმანიის უკანასკნელ ამბებზე.

ხეზემომუშავეთა კავშირის სრულიად საქართველოს მესამე ყრილობა

ყრილობის გახსნა

ყრილობას ხსნის ამხ. დიმიტრაშვილი.

ყრილობის პრეზიდიუმში ირჩევენ ამხ. ამხ. სტურუას, ეგანოვს, როსტომაშვილს, დიმიტრაშვილს და სალდაძეს.

ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებათ ირჩევენ ამხ. ამხ. ლენინს, ტროცკის, ცხაკაიას და კობანოვს (კავშირის ცეკა).

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ელბაქიანი.

ამხ. ელბაქიანი აღნიშნავს, რომ კავშირის მუშაობაში არის მთელი რიგი მიღწევებისა, მაგრამ იმის თქმა, რომ ჩვენ ყველაფერს მივაღწიეთ, შეუძლებელია. კავშირმა მომავალშიაც უნდა განაგრძოს თავისი მუშაობა მისი წევრების ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რასაკვირველია, შესაძლებლობის ფარგლებში.

ძლიერ მწვავეთ სდგას პროვინციაში საექიმო დახმარების საკითხი, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ყრილობამ.

ყრილობა აგრეთვე ვერ შეხვდება გულდამშვიდებით გერმანიის ამბებსაც, ამ ამბებზეა დამოკიდებული მუშათა კლასის მთელი ბედ-იღბალი. ფაშისტების ერთიან ფრონტს მუშათა კლასმა უნდა დაუპირისპიროს მუშათა ერთიანი ფრონტი.

ამხ. დიმიტრაშვილი ესალმება ყრილობას კავშირის ცენტრალური გამგეობის სახელით და აღნიშნავს, რომ 1923 წელთან შედარებით მუშების ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდა 60—70 პროცენტით.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე დეფექტები. ყრილობა საქმიანათ უნდა მიუდგეს დღის წესრიგის ყველა საკითხებს, ჯამი გაუკეთოს ცენტრალური გამგეობის მუშაობას და მისცეს მას ნაკაზი შემდეგი მუშაობისათვის. შემდეგ ყრილობაზე წაკითხულ იქნა ახალგაზრდა ხეზე მომუშავეთა მისასალმებელი წერილი.

ყრილობა მისალმებას უგზავნის ამხ. ლენინს, ხეზე მომუშავეების კავშირის ცეკას, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს, პროფინტერნს, საქართველოს კომპარტიის ცეკას, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს, სრულიად-რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს, ამიერ-კავკასიის ბიუროს და გერმანიის პროლეტარიატს პროფინტერნის საშუალებით.

საქონლის მანეთის ახალი კურსი

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატიდან.

აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 1923 წ. 22 ოქტომბრისათვის.

ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. 17 მაისის დადგენილება № 52 ის საფუძველზე, ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისია ამით აცხადებს, რომ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 10 (ათი) მანეთის ფასობის კვალობაზე ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით ამა წლის 22 ოქტომბრისათვის განისაზღვრება—136,284,600 მან.

ამავე რიცხვისათვის საქონლის მანეთის ღირებულება განისაზღვრება—13.628.000 მან.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისრის მოადგილე—**ა. მიქაძე**
საერთო საორგან. გან. გამგე—**ლ. ქურდოვანიძე**

ქრონიკა

— **მუშაობის გეგმა.** დაევალათ [illegible] ხაძის და ნასყიდაშვილს შეიმუშაონ როგორც შრომის ბაზრის განყოფილების, ისე ტფილისის შრომის ბირჟის მომავალი მუშაობის გეგმა 25 ოქტომბრიდან 1-ლ იანვრამდე.

— **შრომის სასამართლოები.** შრომის სასამართლოები ამ ჟამად არსებობენ მხოლოდ ტფილისსა, ბათომსა, ქუთაისსა და სოხუმში. დანარჩენ ადგილებში შრომის საქმეებს არჩევენ სახალხო სასამართლოები.

— **რესპუბლიკის გაყოფა ახალ სატარიფო ორ ზოლათ.** სატარიფო-საკონფლიქტო განყოფილებამ რესპუბლიკა გაჰყო ახალ სატარიფო ორ ზოლათ, რომელსაც საფუძვლად დაედო საბიუჯეტო ინდექსის აღრიცხულ პროდუქტთა ფასების მოძრაობა.

— **შრ. ინსპექტორების მუშაობის ყოველკვირეული ანგარიში.** დადგენილ იქნა, შრომის ინსპექტორებმა წარმოადგინონ თავიანთი მუშაობის ყოველკვირეული ანგარიში შრომის დაცვის განყოფილებაში. დადგენილება ესე ძალაში შედის 15 ოქტომბრიდან.

— **არტელ „ტყე“ დაშლა.** შრომის ბირჟამ დაადგინა დაშლილათ გამოაცხადოს არტელი „ტყე“. ამ საქმის გამორკვევა დაევალა ამხ. მებუკეს.

— **ქიმიურ ტეხნიკუმში.** პროფგანათლების მთავარ-მმართველობამ ნება დართო ტფ. მე 5 ქიმიურ ტეხნიკუმს, ძირითად ქიმიურ კლასთან გახსნას სამრეწველო-ეკონომიური პარალელური კლასი. ამიერიდან აღნიშნულ ტეხნიკუმს ეწოდება ქიმიური ტეხნიკუმი სამრეწველო-ეკონომიური განყოფილებით.

— **დახმარება აფხაზეთის ქართულ სკოლებს.** განათლების სახ. კომისარიატმა აფხაზეთის ქართულ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებას დაუთმო აფხაზეთის ქართულ სკოლების მოწაფეთათვის, რომელთა რიცხვი უდრის 6000, ქართულ-რუსული სასწავლო სახელმძღვანელოები და ქართული რუქები, ნაწილი უფასოდ და ნაწილი ნისიად.

— **შრომის სკოლები დუშეთის მაზრაში.** მიმდინარე სამოსწავლო წლიდან დუშეთის მაზრაში გაიხსნა 12 შრომის სკოლა. მზადდება გასახსნელად კიდევ 3 სკოლა. აისორებისათვის სოფ. მუხრანში და ოსებისათვის სოფ. კობში.

— **ახალი მასწავლებლები.** დუშეთის მაზრაში ზაფხულში მოწყობილ მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებზე დაშვებული იყო 20 თავისუფალი მსმენელი, რომელნიც კურსების დამთავრების შემდეგ განაწილებულნი იქნენ ხსენებული მაზრის ახლად გახსნილ სკოლებში.

— **მიწად-მოწყობის შესახებ.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა გამოჰყოს კომისია მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის და აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილების წარმომადგენლებისაგან, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საჭირო პროექტი მიწად-მოწყობის შესახებ გამოცემულ დეკრეტში ცვლილებათა შესატანათ. შეტანილი ცვლილებები დამტკიცებული უნდა იქნას ც. ა. კომიტეტისაგან.

— **ამერიკული დამხმარე ორგანოები.** ქ. აღმასკომმა ამერიკელი დამხმარე კომიტეტები განთავისუფლა ბინის, წყალის და ელექტრონის გადასახადებისაგან.

— **მატყლის დამზადება.** ა. კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატმა საშემოდგომო სეზონიდან დაამზადა 20 ათასი ფ. მატყლი.

— **საზღვარ-გარეთის საქონლის განაღდება.** ა.-კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატმა დასდო ხელშეკრულება საზღვარ-გარეთის სავაჭრო რამდენიმე ფირმასთან ა.-კ. საქონლის ჩამოსატანათ და გასანაღდებლათ.

— **პოლიტ-ტეხნიკუმის დღესასწაული.** 29 ოქტ. ტფ. პოლიტეხნიკუმი დღესასწაულობს თავის დაარსებიდან 5 წლის თავს.

— **საბჭოთა მუშაკების კულტ-კონფერენცია.** დღეს, 25 ოქტ. საღ. 6 საათზე, პროფკავშირთა სასახლის წითელ დარბაზში შესდგება საბჭოთა მუშაკების კულტ-კონფერენცია ადგილკომების და კულტ-კომისიების თანადასწრებით.

— **შრომის ბირჟა.** 23 ოქტ. აღრიცხვაზე გამოცხადდა—326 უმუშევარი. ახლად ჩაეწერა—127. სამუშაოზე გაიგზავნა—38 უმუშევარი.

— **მომრიგებელი კამერა და სამედიატორო სასამართლო რკინის გზის შრომის ინსპექციასთან.** ა.-კ. შრომის კომისარიატის დადგენილებით, რკინის გზის შრომის ინსპექციასთან არსდება მომრიგებელი კამერა და სამედიატორო სასამართლო.

— **ყრილობის გადადება.** ამიერ-კავკასიის პროფკავშირების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელიც უნდა გახსნილიყო 17 ოქტომბერს, გადაიდო ახლო ხანისათვის.

— **ქართლის მეხილეთა ყრილობის გადადება.** ვინაიდან გორის რაიონის მეხილეთა ყრილობა და მეხილეობის გამოფენა, რომელიც დანიშნული იყო 28 ოქტომბრისთვის, სხვადასხვა ტეხნიკურ მიზეზების გამო ვერ ესწრება და მეორეს მხრივ მოახლოვებულია 7 ნოემბრის დღესასწაული, როდესაც ქ. გორში მრავლად ჩამოვლენ გლეხები და მათ მიეცემა საშუალება გამოფენის ნახვისა, ამიტომ მომწყობმა კომიტეტმა დაადგინა: გადაიდოს ყრილობა და გამოფენა ერთის კვირით, ე. ი. 4 ნოემბრისათვის.

მუშათა ცხოვრება

მუშათა კლუბი რკინისგზელებისათვის.

ამ დღეებში დავათავრებთ ნაძალადევის თეატრიან კლუბის შენობას. შენობის უქონლობის გამო კლუბის მუშაობა ძალიან შეფერხებული იყო. მუშათა ცენტრს არ ჰქონდა თავისი კლუბი. ამ მიზეზმა გამოიწვია ჩვენში სურვილი დაუყოვნებლივ შევსდგომოდით საქმეს და ეს იდეა თავზე ტფილისის კვანძის საუბნო კავშირმა.

კულტურული განყოფილების გამგემ, ამხ. ხუროვმა, აღძრა ეს საკითხი და პირველი გზა ამ საქმის შესრულებისათვის მან გაგვიკვალა. მართალია, ჩვენ იმ დროს ამ შენობისათვის თანხა არ გვქონდა, მაგრამ ჩვენ იმედი გვქონდა, რომ სხვადასხვა დაწესებულებანი დაგვეხმარებოდნენ და ეს ჩვენი იმედი კიდეც არ გაგვიცრუვდა. შარშან, სექტემბერში, შენობის დაწყებისთანავე შესდგა სააღმშენებლო კომისია ამხ. ხუროვის, რუხაძის, რადჩენკოსის, კოჩინევის და ნ. რუხაძის თაოსნობით. ამ კომისიამ საქმე აჰყოლოვა შემოდგომამდე, როდესაც ცუდი ამინდების დაწყების გამო, და აგრეთვე თანხის უქონლობის მიზეზით მუშაობა შეჩერდა.

ამ წლის გაზაფხულზე ხელახლა შესდგა კომისია ამხ. კაჩკაჩინის თავჯდომარეობით, რომელშიაც წევრად არიან ამხ. კაჩკაჩია, რუხაძე, კიკნაძე, კურულოვი და ლადო სუხიშვილი. ამ კომისიის დიდი ღვაწლი მიუძღვის შენობის დამთავრებაში, რადგანაც თანხის და მასალის შოვნა ძალიან გაჭირდა.

დიდი დახმარება მოგვცა ფულით და მასალით რკინისგზის სამმართველომ, პირადად ამხ. პოზდეევმა, ქალაქის აღმასკომმა, ამხ. ელიავამ და სერგო ორჯონიკიძემ. უმაღლესი მეურნეობის საბჭომ და კლუბი კიდევაც აშენდა ამხ. ლოსაბერიძის შედგენილი გეგმით და მისივე ხელმძღვანელობით ტეხნიკურის მხრივ. ეს შენობა შესდგება ხუთ მოზრდილ დარბაზისაგან თავისი აივნით და სხვა მოწყობილობით. ეხლა ნაძალადევის მუშათა უბანს ეძლევა საშუალება იქონიოს ცენტრალური კლუბი თავის უბანში.

მუშკორი ნ. რუხაძე.

ტრამვაელებში

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

ამ სადგურის მუშების შესახებ არა ერთხელ დაწერილა გაზეთში, რომ მათ არა აქვთ მიღებული „სპეცტანისამოსი" და არავინ ფიქრობს დააკმაყოფილოს ისინი ამით. გარდა ამისა აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, როგორიც არის ნახშირის მომარაგების „საქმიანობა" სადგურში ერთი თვის განმავლობაში შემოაქვთ ოთხი თვის საყოფი ნახშირი, რომელსაც დასაყარი ეზო ცოტა აქვს და აგროვებენ ერთ ალაგას; ეს ნახშირი გაწვიმების შემდეგ ჰფუჭდება, უჩნდება ცეცხლი და იწვის. უკანასკნელად რჩება გამოფიტული ნაცარი, რომელიც არავითარ ძალას არ იძლევა ორთქლის დასაჭერად ფეჩებში. ამავე დროს აქ მომუშავე მუშებიც მეტ ჯაფას ეწევიან, თანაც მეტი ნახშირი იხარჯება. ამასთანავე ნახშირის უვარგისობის გამო ანთებენ ფეჩებში მაზუთს, რის გამოც ორასი და სამასი ფუთი მაზუთი იწვება დღეში და ეს ხდება მაშინ, როცა შეიძლებოდა, მგონია, ყოველთვის კარგი ნახშირის მიწოდება და აცდენა ასეთი უსარგებლო ხარჯებისა. აქ მომუშავე მუშებს ეძლევათ ნახშირის ეკონომიისათვის პროცენტები. მაგრამ როცა ბევრი ნახშირი და მაზუთი იხარჯება, იმ შემთხვევაში მოგებაც ცოტა გრჩება და მუშებსაც ცოტა გასამრჯელო უწევს, აქაური მუშები კი არ არიან აქ დამნაშავენი, ისინი მეტს ოფლს ღვრიან, ნაკლებ პროცენტებს ღებულობენ. აი, ამიტომ სწორედ ზედმეტი ნახშირის და მაზუთის ხარჯი მუშების ანგარიშზე არ უნდა ტარდებოდეს, რომელიც ექვითებათ მათ მოგებიდან. აქ საჭიროებს დაკვირვებითი ყურადღების მიქცევა ვითარცა ჯერ არს.

მუშა მელ. მამალაძე.

დავიცვათ მუშათა საცხოვრებელი ბინები განადგურებისაგან

ანდრიევის ქუჩაზე № 122 მოთავსებულ სახლში სცხოვრობს 155 სულზე მეტი, რომელთა უმრავლესობას შეადგენენ რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშები. ზამთარ ზაფხულ ამ სახლის ეზო იმყოფება ანტისანიტარულ მდგომარეობაში, სახლის პატრონი ამას ყურადღებას სრულებით არ აქცევს. თვით სახლი, თუ სასწრაფოთ არ იქნა ზომები მიღებული მოკლე ხანში, შესაძლებელია სულ დაინგრეს და 155 მუშა დარჩეს ცის ქვეშ.

წელიწადია რაც ამ სახლში ვცხოვრობ და ერთხელ არ მოსულა სახლის პატრონი იმის გასაგებათ, თუ რა მდგომარეობაშია მისი სახლი. თვეში ერთხელ მოდის მხოლოდ მისი მოიჯარადრე ქირების ასაკრებათ, რომელიც შენობის შეკეთებაზე სულაც არ ფიქრობს, რომელსაც რომელიმე დგმური შეეკითხება შენობის შეკეთებაზე, მოიჯარადრე უპასუხებს: „ჩემთვის უფრო სასარგებლო იქნება, რომ მალე დაინგრეს, დავაკრავ შემოსავალ კარებს ფიცრებს, სახლის პატრონი გაყიდის აგურს და უფრო მეტს ისარგებლებს, ვიდრე ეხლა სარგებლობს, მიწა კიდევ დარჩება ხელუხლებლად" ამისთანა სახლის პატრონების და მოიჯარადრეების მოქმედებას ყურადღება უნდა მიექცეს, რათა მათ იზრუნონ თავიანთი სახლების შეკეთებაზე და არა მარტო თავის ჯიბეების გასქელებაზე. ხსენებულ სახლში მცხოვრები მუშები მოუთმენლად ელიან სათანადო განკარგულებას, რათა მათი საცხოვრებელი ბინები დაცულ იქნას დანგრევისა და სრული განადგურებისაგან.

მთიული.

მელითონეებში

ა. წ. 14 ოქტომბერს ლითონის განყოფილების ამხ. სტალინის სახელობის სახელოსნოში კულტ-კომისიის სხდომაზე განხილული იყო შემდეგი საკითხები: პრეზიდიუმის არჩევნები, უცოდინართა ლიკვიდაციის სკოლის საკითხი, მუშათა ბავშვების შესახებ, სამკითხველოს მოწყობის შესახებ, საშეფო სოფელ დიდლილოს გლეხთათვის გაზეთების მიწოდება, სპორტ-წრისათვის საჭირო იარაღების შეძენის საკითხი და მიმდინარე საკითხები.

კულტ კომისიის თავჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ი. ელიაშვილი, მდივნად ქალი კატოვიჩი.

რაც შეეხება უცოდინართა ლიკვიდაციის სკოლის მოწყობას, დადგენილ იქნა, თანახმად კულტ უჯრედების კონფერენციის დადგენილებისა, მოეწყოს სახელოსნოსთან სკოლა და 35 ასაკამდე უცოდინარი მუშები იძულებულ ჰყონ სწავლის მიღებისათვის; ამასთანავე ერთად აღიძრას შუამდგომლობა კავშირის კულტ-განყოფილების წინაშე სათანადო დახმარების აღმოჩენაში, უმთავრესად ფულით და წიგნებით.

იმ ბავშვთა შესახებ, რომელნიც არ მოხვდნენ შრომის სკოლებში უადგილობისა გამო, აღიძრას შუამდგომლობა კულტ-განყ. წინაშე, რათა სიით 8—წლამდე მუშების ბავშვები აუცილებლივ მიღებულ იქნენ სკოლებში კულტ-კომისიამ იმსჯელა რა სამკითხველოს შესახებ, დაადგინა მოეთხოვოს სახელოსნოს ადმინისტრაციის მიღებულ იქნეს საჭირო ზომები საწყობის განთავისუფლებისათვის, სადაც განზრახულია მოეწყოს სამკითხველო მუშებთათვის, გამოიწეროს ადგილობრივი რუსული და ქართული გაზეთები.

ძველი გაზეთები კი, მუშების მიერ უკვე წაკითხული გადაიგზავნოს ხოლმე სისტემატიურად სოფელ „დიდ ლილო"-ს გლეხებისათვის ადგილობრივ სამკითხველოში.

რადგანაც ფიზ კულტურას დიდი მნიშვნელობა აქვს მუშების ცხოვრებაში და ამჟამად სახელოსნოში არ მოიპოვება ზოგიერთი სავარჯიშო იარაღი, ეთხოვოს კოლეგიას მიღებულ იქნეს ზომები უკანასკნელების შესაძენად.

მასთან კულტ-კომისია მიზნად ისახავს ამ ზამთარს მოაწყოს სალამოები, ლექციები, თვითმოქმედების სალამოები, რათა აამაღლოს სახელოსნოს კულტურული დონე.

მუშკორი მელითონე.

შრომის ექსპლოატაციას ბოლო უნდა მოეღოს

(წერილი პროვინციიდან)

ქ. ზესტაფონში არსებობს ოთხკლასიანი შრომის სკოლა.

ამ სკოლას განაგებს ნესტორ კოვზირიძე.

მოქალაქე კოვზირიძე უწევს ექსპლოატაციას იგივე სკოლის დარაჯს ალექსი ფერაძეს. ექსპლოატაცია გამოიხატება შემდეგში. თავის უდიერ მოპყრობით საწყალ დარაჯს ის მას ამუშავებს თავის კერძო საქმეზედ, ხან წისქვილში გზავნის და ხან თავის სოფელში გზავნის სამუშევრად, ხან ბაღში ამუშავებს. თუ კი დარაჯი ასეთებს არ ასრულებს, სკოლიდან დათხოვნით და ბინიდანაც გამოგდებით ემუქრება: ამით დარაჯი დაშინებული ჰყავს და ის ასრულებს ყოველივე მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მას ჯამაგირი არ აკმაყოფილებს და თავის კერძო საკუთრება არასფერი არ აქვს.

ეტყობა, რომ მოქ. კოვზირიძეს ჯერაც ვერ მოუნელებია ჩვენი მუშური წესწყობილება და ისევ ძველ დახავსებულ დროის საშუალებებს მიმართავენ პატარა კაცის საექსპლოატაციოდ.

საჭიროა, ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება, ვისგანაც ეს ჯერ არს და მოქ. კოვზირიძე გონზე მოიყვანონ.

ინფორმატორი დუტუ.

მუშათა ქრონიკა

— **სკოლები მუშებისათვის.** პროფკავშირის მიერ დადგენილია, რათა გაიხსნას 5 სკოლა წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად მეეზოვეებსა და აბანოს მუშებს შორის.

— **კიდევ მზრუნველობა სოფელზე.** ტფილისის აღმასკომის მუშა-მოსამსახურეთა 9 ოქტომბრის კრებაზე გათვალისწინებულ იქნა კულტურული ჩამორჩენილობა სოფლების და გადასწყდა გაეწიოს დახმარება ამ მხრივ სოფ. წავკის.

— **დახმარება გერმანიის პროლეტარიატს.** მტვირთველ მუშების კრებამ დაადგინა ერთი დღის ხელფასი გადასდოს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ და უსურვებს მას გამარჯვებას.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„აიდა"

სახელმწიფო ოპერის თეატრის სცენაზე განახლებულ იქნა ვერდის ოპერა „აიდა", რომელიც პირველათ დაიდგა გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ.

ოპერა „აიდა" ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია დიდებულ იტალიელ კომპოზიტორის ვერდის, ის აქამდის არ იხსნება ყველა ქვეყნის საოპერო თეატრების რეპერტუარიდან და დიდხანს ეყოლება კიდევ დაპყრობილი ამ ოპერას საოპერო ხელოვნების მოყვარულთა გრძნობები თავისი მომხიბლავი, განუსაზღვრელი მუსიკალური სილამაზით.

ოპერის მთავარ პარტიას „აიდას" მღეროდა ჩვენი საოპერო დასის პრემიერი ქალი მოქ. პანკრატოვა; როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, მომღერალს განსაკუთრებული ვოკალური ნიჭი აქვს. ჩვენის აზრით, მსახიობს უფრო ლირიულ-დრამატიული სოპრანო აქვს, ვიდრე წმინდა დრამატიული; მომღერალის ხმას ახასიათებს დიდი სილამაზე და განსაკუთრებული მუსიკალობა. მსახიობი საუცხოვოთ ხმარობს თავის ხმას—ის შეუმჩნევლათ გადადის რეგისტრიდან რეგისტრზე და შეასრულებს რა ამა თუ იმ პერიოდს ერთ რეგისტრში (მაგალითად მაღალ რეგისტრში, შემდეგ საშუალოში და დაბალში)—ისევ უბრუნდება წინანდელ რეგისტრს. ეს ამტკიცებს იმას, რომ მსახიობის ხმა [illegible] განვითარებულია.

საუცხოვოთ შესრულა მსახიობმა მესამე მოქმედების მშვენიერი არია (ნილოსის ნაპირებზე); კარგათ მიჰყავს მოქ. პანკრატოვას მეორე აქტის ensemble-ც (დიდი ფინალი), აქ მსახიობის ხმა სჭარბობს ანსამბლის სხვა მონაწილეთა ხმებს და მსახიობი არ აჭარბებს ხმას.

სცენიური გადმოცემა მოფიქრებულია, მსახიობი სცდილობდა სისწორით გადმოეცა იმ პირთა დრამა, რომელნიც უკვე დიდი ხანია თქმულებათა სფეროში არიან გადასულნი.

რადამესის პარტიის ამსრულებელს მოქ. მოსინის ძლიერი მაღალი რეგისტრები აქვს და აქ ის მშვენიერი და მომაჯადოვებელია, მაგრამ მომღერალი სუსტია ლირიულ ადგილებში, სადაც საჭიროა შესრულება mezzo-voce (ნახევარი ხმით) და კანტილენა. ამიტომ პირველი აქტის რომანსი და უკანასკნელ სურათის მთელი სცენა მართალი გამოვიდა, მაგრამ სამაგიეროთ პირველი და მესამე მოქ. ტრიოში და განსაკუთრებით მეორე აქტის ფინალის სცენაში მოსინი შეუდარებელი იყო. მოხდენილია მსახიობის გრიმი.

მოქ. კალცივაძე (ამონასრო-ეთიოპიის მეფე) წარმატებით მიიწევს წინ; მის სიმღერაში უკვე სჩანს ფრაზიროვკა, ზოგიერთ ადგილებში კანტილენაც კი. არ არის საჭირო მხოლოდ ხმის ფორსიროვკა განსაკუთრებით ფრაზის დასაწყისში და არ არის საჭირო აგრეთვე სიტყვების ასე ჩამოჭრა. ამონასროს [illegible] გამოხატულება მოხდენილი იყო, კარგია გრიმიც. სიმღერაში არის ტემპერამენტი.

საუცხოვოა უმაღლესი მღვდელთმსახური „რამფისი" მოქ. ისეცკის შესრულებაში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ მსახიობის კეთილშობილება და სინდისიერი დამოკიდებულება ყველა როლებისადმი. სიმღერა, სცენიური გადმოცემა, დამახასიათებელი გრიმი—ყველაფერი ამოცანის სიმაღლეზეა.

საუცხოვო ხმა აქვს მოქ. [illegible] (basso cantante); ახალგაზრდა მომღერალი წინ მიიწევს და ის უეჭველათ მიიღებს ღირსეულ ადგილს და იქონიოს საოპერო დასში.

მშვენიერი ხმა აქვს მოქ. სტრიჟენოვას (ეგვიპტის ქალი—ამნერის), მაგრამ მსახიობს აკლია რიტმიულობა სიმღერაში; მომღერალმა უფრო მეტი დახვეწილობა უნდა მიიღოს სცენიურ ხაზში და საჭიროა უფრო [illegible] მიმიკის მოცემა.

კარგია ორკესტრი ვანო ფალიაშვილის ხელში; მაესტროს კარგად მიჰყავს აკომპანიმენტი ლირიულ ადგილებში და მშვენიერ ძლიერ ხმას იძლევა ანსამბლის სცენებში.

სუსტათ არის დადგმული ცეკვა. უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ ერთი და იგივე ჯგუფის მოცეკვავეთ ეცვათ ერთნაირი ფეხსაცმელი, [illegible] წარმოდგენაში კი მოცეკვავეების ნაწილი გამოვიდა ტიტველი ფეხებით კოტურნებით, სხვები ფეხზაცმულები იყვნენ, ერთი ვარდისფერ ტრიკოში იყო. ეს არ არის მხატვრული. კარგად ცეკვავდნენ ლეონოვა და სოროკინა.

მუსიკოსი.

— **„ინტერესთა თამაში"** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება ესპანელ მწერლის ხაცინტო ბენავენტეს პიესა „ინტერესთა თამაში". პიესას დასდგამს კ. მარჯანიშვილი.

— **წიგნების გამავრცელებელი „პოეტების არტელი".** ტფილისში არსდება წიგნების გამავრცელებელი ამხანაგობა „პოეტების არტელი". [illegible] უმთავრესათ გაავრცელოს ქართული გამოცემები ხალხში [illegible].

— **ნაძალადევის თეატრი.** დღეს, ნაძალადევის მუშათა თეატრში გახიდ აბაშიძის და დ. ჩარკვიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „პარიზის ღარიბ-ღატაკნი".

— **საბალეტო წარმოდგენები.** საოპერო თეატრის დირექციამ დაადგინა მიმდინარე სეზონში დასდგას მთელი რიგი საბალეტო წარმოდგენების.

— **სახალხო სახლის რუსული დასის სეზონი.** სახალხო სახლთან არსებულ რუსული დასის სეზონი დაიწყება 1-ლ ნოემბერს. წარმოდგენილი იქნება ლუნაჩარსკის „განთავისუფლებული დონ-კიხოტი".

— **საბავშვო თეატრისათვის.** ვ. გ. გადმოაკეთა საბავშვო თეატრისათვის ი. ქავჟავაძის მოთხრობა [illegible] რომელიც წარმოდგენილი იქნება მიმდინარე სეზონში „საბავშვო თეატრში".

— **„მეოცნებე ნიამორები".** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ვ. გაფრინდაშვილის რედაქტორობით „მეოცნებე ნიამორების" მორიგი ნომერი.

— **დახმარება სოხუმის ქართულ თეატრს.** მთავარ სახელოვნო კომიტეტმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას განათლების კომისარიატის წინაშე, რათა სოხუმის ქართულ თეატრს მიეცეს სათანადო დახმარება.

— **სახალხო სახლი.** ქალ. აღმასკომმა ხელშეკრულება დასდო სახ. სახლთან არსებულ ქართულ და რუსულ დასებთან. ხელშეკრულების ძალით ქართულ დასს ეძლევა შემოსავლის 70 პროც.

პროვინციაში

აღმშენებლობითი მუშაობა გორის მაზრაში

გორის მაზრის ხელისუფლება აწარმოებს მოუსვენარ მდინარე ლიახვის ნაპირების შეკეთება-გამაგრებას, სოფ. ბობნევში და ბაისში [illegible] მაგილების და სხვა საჭირო მასალის დამზადება. ვინაიდან ლიახვის ნაპირების შემაგრება უნდა მოხდეს თავის დროზედ, რადგან დიდი საფრთხეს წარმოადგენს მცხოვრებლებისათვის ადიდების დროს,—შემდგარია გეგმა ხაშურის რაიონში მდინარე მტკვრის ნაპირების შეკეთებისა, სოფ. ცხრამუხის, ქვიშის, ოსიაურის და ახალსოფლის მიდამოებში, სწარმოებს გეგმის შედგენა, მდინარე კავთურაზედ სოფ. კავთისხევთან ხიდის გაკეთებისა. დაწყებულია ფენების შეკეთება გორის რკინის ბეტონის ხიდისა მდინარე მტკვარზედ. მდინარე ფცაზედ ხიდის შეკეთება მასალის გამოცვლით უკვე თავდება. საერთოდ ყველა ხიდები, გზები და სხვა, როგორც თვით ქალ. გორში, ისე მის მიდამოში შეკეთებულია, მასალის გამოცვლით და ქვაფენილის დაგებით. ასეთივე სურათია მთელი მაზრის ფარგლებში. არიან, რასაკვირველია, გამონაკლისები, მაგ. გორი-ცხინვალის გზა, რომლის სიგრძეა 30 ვერსი და რომელიც არის მთავარი შემაერთებელი გზა გორისა სამხრეთ ოსეთთან. ამ გზას აქვს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა. ეს გზა გარდა სამხრეთ-ოსეთისა, აერთებს, როგორც დიდ, ისე პატარა ლიახვების მინდორ-ხეობების მიდამოებში გაშენებულ მრავალ რიცხოვან სოფლებს; აღსანიშნავია, რომ სწორეთ ეს კუთხე გორის მაზრისა არის დაუშრობელი წყარო მეხილეობისა, რითაც განთქმული არის ჩვენი მხარე. მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამად ეს გზა სავალალო მდგომარეობაშია; მას ესაჭიროება დიდი შეკეთება. გასულ 1922 წლის დამლევს ეს გზა იქმა შეკეთებული, დაყრილი იყო ღორღი, ქვიშა და სხვა, შეკეთდა აგრეთვე ხიდები მასალის გამოცვლით. პატარა ლიახვის ხიდზედ წყალდიდობისაგან ფენების გაფუჭების გამო შეწყვეტილი იყო მიმოსვლა. ამ ხიდს დასჭირდა 800 ფუთამდე ფიჩხი, რომელიც ბელოთის ტყიდან იყო მოტანილი; ორივე მხარეს ამ გზისა მისდევს რუები, რომელიც ამაღლებულია და გასუფთავებულია, მაგრამ მდინარე ლიახვის მოუსვენრობით, დიდი მოძრაობით და სხვა მრავალი მიზეზებით ეს გზა დღეს ისევ ცუდ მდგომარეობაშია, მას ესაჭიროება დიდი შეკეთება. მაგრამ ეს მაზრის ხელისუფლებისათვის დიდათ სამძიმო იქნება, ამიტომ საჭიროა ცენტრალური ხელისუფლების მხრივ დიდი დახმარების აღმოჩენა.

კორ.-ინ.

ქ. სურამი

ორშაბათს, 15 ოქტომბერს, მუშათა კლუბის დარბაზში, შესდგა ქ. სურამის საბჭოთა მუშა-მოსამსახურეების მორიგი საერთო კრება, რომელზედაც დაესწრო გორის მაზრის საბ. მუშაკთა პროფკავშირის გამგეობის წევრი ამხ. ალ. დათებოვი. თავმჯდომარეობდა ამხ. თევზაძე და მდივნობდა მიხეილ მშველიძე. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება გორის სამაზრო პროფკავშირის კონფერენციის დელეგატის; 2) ახალი წევრების მიღების შესახებ; 3) მოხსენება ადგილკომის მუშაობის შესახებ; 4) მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა გორის სამაზრო პროფ-კავშირის კონფერენციაზე წარგზავნილ დელეგატმა ამხ. ნებიერიძემ, რომელმაც დაწვრილებით აღნიშნა ყოველივე ის, რა საკითხებიც იყო წამოყენებული კონფერენციაზე.

ახალ წევრებად მიღებულ იქნენ მილიციის ყველა თანამშრომლები, რომლებიც დღემდის არ ითვლებოდნენ კავშირის წევრებად; და ეს ერთად ერთ დამცველი რაზმი ქალაქისა უყურადღებოდ იყო მიტოვებული, როგორც წამლების მიუღებლობის მხრივ უფასოდ, ისე ჯამაგირების მიუღებლობის მხრივ და სხვა... ადგილკომის რწმუნებულის მოხსენება დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი ეტყობა, ადგილკომს არ სძინავს, როგორც ძველს, მაგრამ უნდა აღინიშნოს ერთი ნაკლი, რომ ადგილკომს ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული შრომის კანონების დაცვაზე, რომელიც პირველ ხარისხოვანი საკითხია საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მიმდინარე საკითხებში გამოთქმული იყო აზრი მუშა-მოსამსახურეებისათვის სინათლის ნახევარ ფასად სარგებლობის შესახებ, რაზედაც შუამდგომლობა აღძრა კომუნალურ განყოფილებასთან. დაარსებული იქნა სხვადასხვა კულტურულ-პოლიტიკური წრეები, სადაც სისტემატიურად გაიმართება ლექციები, გასამართლებები, წარმოდგენები და სხვა... დადგენილ იქნა აგრეთვე მუშა-მოსამსახურეების მიერ, რომ მათივე ენერგიით დასუფთავებული და შემორაგული იყოს საქართველოს უძველესი ისტორიული ნაშთი „სურამის ციხე", რომელიც მრავალ ხალხს იზიდავს თავისი მშვენიერი სანახაობით.

ი. გაგოშიძე

ქ. ოზურგეთი

პარასკევს, 19 ოქტომბერს ოზურგეთში ჩამოვიდა ამხ. შალვა ელიავა. მისი ჩამოსვლის მიზანი იყო ჩატარებინა გურიის პარტორგანიზაციის მეხუთე კონფერენცია. კონფერენციის გახსნამდის ამხანაგი შალვა გაეცნო მრავალ საჭირბოროტო საკითხებს, რომელნიც აწუხებენ ადგილობრივ ამხანაგებს. აღძრულ საკითხებზე ამხ. შალვამ მისცა დირექტივები. შემდეგ დაათვალიერა ჯერ კიდევ დაუსრულებელი ტეხნიკუმის შენობა, რომელიც ამ დღეებში დამთავრდება. შემდეგ ამხ. ელიავამ დაათვალიერა შემოქმედის და უზნობის დამბები.

ამასთან ერთად ამხანაგებმა სთხოვეს ამხ. ელიავას, რათა დაგვხმარებოდა ცენტრალური მთავრობა ბახვის და ნატანების წყალზე ბოგების გაკეთებაში. აღნიშნული ბოგების გაკეთება წარმოადგენს მორიგ ამოცანას მაზრისათვის, რადგანაც უამისობით მთელი აღმოსავლეთი გურია მოწყვეტილია მაზრას. წინასწარი მუშაობა უკვე დაწყებულია. ამხ. ელიავამ აღუთქვა დახმარება, რაზედაც ადგილობრივი ამხანაგები დიდ იმედებს ამყარებენ. სასურველია, რომ ცენტრიდან ჩვენი ბელადები ხშირათ დადიოდნენ პროვინციებში და არკვევდნენ ადგილებზე ამხანაგებს სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებში.

ლანიძე.

პასუხად შ. დუდუჩავას

თქვენ განაცხადეთ ჩემს მოხსენებაზე სიტყვა სიტყვით: „ექსპრესსიონიზმი არის ფსიქოლოგიური პრობლემა ხელოვნებისა" (ამას ამბობს ერთი ავტორიო) ჩემი შეკითხვის შემდეგ თქვენ ამ ფორმულას რედაქცია კი გაუკეთეთ (ზემოხსენებული). ამას ახლაც იმეორებთ.

მე ასეთი ფორმულა გამიკვირდა, რადგან ექსპრესსიონიზმს ასეთი განსაზღვრა არ აქვს ექსპრესსიონისტულ ლიტერატურაში.

ეხლა თქვენ მოგყავთ ნ. რადლოვის სიტყვები. რადლოვი არც ექსპრესსიონისტია და არც ექსპრესსიონიზმის მკვლევარი—მისი წერილი ფუნდამენტალური არ არის. „მსოფლიო მასშტაბით ცნობილობა" მისი, როგორც თქვენ ამბობთ, მგონი გაუგებრობა უნდა იყოს.

მაგრამ ეს სხვა საკითხია და მივიღოთ „ისე" მისი „ავტორიტეტობა". თქვენ მიერ მოყვანილ ციტატში რადლოვი ამბობს: „Экспрессионизм рассматривает вопросы искусства, как философскую и психологическую проблему".

როგორც ხედავთ, აქ სხვანაირად არის ნათქვამი: „როგორც ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური" და არა მარტო „როგორც ფსიქოლოგიური" „ფილოსოფიურის" თანადართვით ფორმულას სხვა ხასიათი ეძლევა.

ბოლოს: ეს არის ფაქტის საკითხი, რომელსაც მესამე მხარე უფრო [illegible] „წყვეტს". მე არ გავურბი ასეთ „სხარეს".

გრიგოლ რობაქიძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 13

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქ. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. ოქტომბრის 10-ს დადგენილებისა თანახმად, ამხ. ცომაია კლიმენტი ინიშნება ტყის კოლეგიის წევრად.

საქ. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ა. ლ. სალარიძე.
1923 წ. ოქტომბრის 23.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 112

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

ტყავის ქარხნების უზრუნველყოფის შესახებ საჭირო ნედლეულობით

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სახელმწიფოს ტყავის ქარხნების უზრუნველსაყოფელად საჭირო ნედლეულობით აკრძალულ იქნეს გამოუქნელი ტყავის შესყიდვა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნებადაურთველად.
2. [illegible] ტყავის ფასის [illegible] გადიდებასთან საბრძოლველად უფლება მიეცეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დააწესოს ხოლმე გამოუქნელი ტყავეულობისათვის მაქსიმალური ფასები და აგრეთვე უფლება მიეცეს ამ ტყავეულობის უპირატესად შეყიდვისა სახელმწიფო ტყავის ქარხნების საჭიროებისათვის ნაღდი ანგარიშით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.
1923 წ. ოქტომბრის 23.
ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ლენინის სახელობის ტფილისის სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის საინჟინრო ფაკულტეტების კომფრაქციის ბიურო, თანახმად ს. კ. პ. ტფ. კ—თან არსებულ კომუნისტურ სტუდენტობის ცენტრალურ ბიუროს დადგენილებისა, ახალ სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად შეუდგა ფრაქციის წევრთა ხელახალ აღრიცხვას.

ამით, მეორეთ და უკანასკნელჯერ კატეგორიული წინადადება ეძლევა კ. პ. და ახალგაზრდათა კომკავშირის იმ წევრთ კანდიდატებს გამოუკლებლივ, რომლებიც სახელმწ. პოლ. ინსტიტუტში ითვლებიან, როგორც სტუდენტები ან თანამშრომლები,—წარუდგენ რეგისტრაციისათვის ფრაქციის ტეხნიკურ მდივანს ამხ. შამანიდის. რეგისტრაცია სავალდებულოა, როგორც წარსულში, ისე ახლათ მიღებულ სტუდენტ-თანამშრომლებისათვის იმისდა დამოუკიდებლად, თუ რომელ უჯრედში ირიცხებიან ისინი.

რეგისტრაცია სწარმოებს ყოველ დღე:

დღით 11-დან—12 საათამდე ს. კ. პ. ტ. კ საორგანიზაციო განყოფილებაში, საღამოობით—ფაკ. საბჭოს ოთახში (სტუდ. წარმ. საბჭოს ზემოთ, ლიტოგრაფიის გვერდით) 7—8 საათამდე. უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 25 ოქტომბერი, რომლის შემდეგ რეგისტრაციაზე არ მოსულნი, პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი უმაღლეს პარტორგანოების წინაშე,—სადაც განცხადებული იქნება ამის შესახებ, ამ ორგანოების დირექტივების დარღვევისათვის.

ფრაქციის პასუხისმგებელი მდივანი ვულფოვიჩი.

— **მე-2-ე რაიონული კომიტეტი** წინადადებას აძლევს ყველა იმ ამხანაგებს, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტზე, და ირიცხებიან წევრებად ა. კ. კ. სხვა რაიონებში დაუყოვნებლივ გადმოვიდნენ მე-2-ე რაიონში, თავიანთი პირადი საქმეებით.

მე-2-ე რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი გვანცელაძე.

— **საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** წინადადებას იძლევა გამოცხადდნენ სამი დღის განმავლობაში საარიცხვო განყოფილებაში შემდეგი ამხანაგები: 1. კანდელაკი დ., 2. კვარაცხელია შ., 3. ყურულაშვილი გიორგი, 4. ელიაძე რ., 5. კანდელაკი ვ., 6. მიკალეიშვილი ნ., 7. კალანდაძე ფ., 8. კამარაული ა., 9. კამარაული ა., 10. კუჭაიძე გრ., 11. კილოსანიძე ვ., 12. ქაცარავა [illegible], 13. [illegible], 14. კაკაბაძე ი., 15. კობახიძე ა., 16. კვანტალიანი ე., 17. ქავთარაძე [illegible], 18. [illegible], 19. ქათარაძე ვლად. 20. კაჩეტკოვი ი., 21. კვირიკაძე ა., 22. [illegible], 23. [illegible], 24. კარაპეტოვ ვ., 25. კორენტელი ნ., 26. კუხალეიშვილი [illegible], 27. [illegible], 28. [illegible], 29. ლეინ ვ., 30. ლომიძე ს.

ცეკას მდივანი ქართველიშვილი.
აღრიცხვის გამგე: ლიცინოვი.

— **საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 რაიონის კომიტეტის** ქალთა განყოფილება იუწყება, რომ ხუთშაბათს, 26 ოქტომბერს. საღამოს 6 საათზე, ქალ. ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის (საბჭოს დარბაზში) შესდგება სადელეგატო კრება ქალთა ორგანიზატორების თანადასწრებით. სავალდებულოა ყველას დასწრება.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.
ქალთა განყოფილების გამგე პენიაკოვისე.

— ლენინის სახელობის ტფილისის სახელმწ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის საინჟინრო ფაკულტეტის კომფრაქციის ბიურო, იწყებს რა ახალ სასწავლო წლისათვის ფრაქციის წევრთა ხელახალ აღრიცხვას,—წინადადებას აძლევს კომ. პარტიისა და ახალგაზრდათა კომკავშირის ყველა წევრთ და კანდიდატებს,—გამოუკლებლივ—(როგორც წინეთ, ისე ახლათ მიღებულთ), რომლებიც შედიან ტფ. სახელმწ. პოლიტეხნ. ინსტიტუტის საინჟინრო ფაკულტეტებში როგორც სტუდენტები ან თანამშრომლები, პარტიულ დისციპლინის წესით წარუდგენ აღსარიცხავათ ფრაქციის ტეხნიკურ მდივანს.

რეგისტრაცია სწარმოებს ყოველდღე 25 ოქტომბრამდე: დღით—საქ. კ. პ. ტფ. კომ—ის საორგანიზაციო განყოფილებაში 11-დან 12 საათამდე, ხოლო საღამოობით—ფაკულტეტის საბჭოს ოთახში (სტუდენტთა წარმომადგენლობის საბჭოს ზემოთ. ლითოგრაფიის გვერდით)—7-დან 8 საათამდე.

ფრაქციის პასუხისმგებელი მდივანი ვულფოვიჩი.

— კომ. პარტიის და ახალგაზრდათა კომკავშირის ყველა წევრთ და კანდიდატებს, რომლებიც არიან ლენინის სახელობის ტფ. სახელმწ. პოლიტეხნ. ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის სტუდენტები და სტუდენტი—ქალები, წინადადება ეძლევათ წარუდგენ რეგისტრაციისათვის სასოფლო-სამეურნეო ფაკ—ის კომფრაქციის მდივანს სტუდენტთა წარმომადგენლობის საბჭოში. რეგისტრაცია სწარმოებს 24 ოქტომბრამდე საღამოს 6-დან 8 საათამდე.

ფრაქციის პასუხისმგებელი მდივანი ტუტუნჯიანი.

განათლების მუშაკთა სახლში.

დღეს, 25 ოქტომბერს საღ. 6 ს. რუსულ, სომხურ და მუსულმანურ სკოლებში ქართული ენის სწავლების წრის საორგანიზაციო კრება.

პარასკევს, 26 ოქტომბერს საღ. 7 ნახ. საათზე ქართულ სომხურ და მუსულმანურ სკოლებში რუსულ ენის სწავლების წრის სხდომა.

პარასკევს, 3 ნოემბერს საღ. 7 საათზე რუსულ ქ. სექციის საბიბლიოგრაფიო წრის სხდომა.

გ. მ. სახლის გამგე—შიუკაშვილი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებული და გულდაწყვეტილი აფთონ ლუკას ძე, ლუკა პეტრეს ძე და ეკატერინე ჭირაქაძეები; იერემია ამილახვარი ცოლითურთ, ლეონტი ბეშკენაძე ცოლშვილით და პარმენ სვანიძე ცოლშვილით აუწყებენ ნათესავებს ნაცნობებს და მეგობრებს, რომ კვირას, 21 ოქტომბერს, მოულოდნელათ გარდაიცვალა პირველის მეუღლე და დანარჩენების რძალი

ნინა (კატუნა) ზაქარიას ასული მჭედლიძე-ჭირაქაძისა

გამოსვენება მიხეილის სავადმყოფოდან სადგურზე ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. დასაფლავება ქ. ქუთაისში კვირას, 28 ოქტომბერს.

74 3—2

ამიერ-კავკასიის საბაჟოთა სამმართველოსაგან:

თანახმად ს. ს. რ. კავშირის სახ. კომ. საბჭოს 1923 წ. 24 აგვისტოს დადგენილებისა („Изв ЦИК С. С. С. Р." № 201, 1923 წ. 7 სექტემბრის თარიღით), ამით ცხადდება საქონლის პატრონების ცნობისათვის და საბაჟოთა ხელმძღვანელობით, რომ საქონლები ან საგნები, რომლებიც აქამდე დარჩენილია საბაჟოების საწყობებში, რომელიც ტარიფის ძალით შემოსატანათ აკრძალულია ან როგორც საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ შიგნით ბაზარზე შემოტანისათვის აკრძალული, ნება დართულია დაბრუნებულ იქნან საზღვარ გარეთ ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა; აღნიშნულ ვადის გასვლის შემდეგ ტარიფის ძალით შემოტანისათვის აკრძალული საქონლები ჩამორთმეული იქნებიან კონფისკაციის წესით, ხოლო საქონლები, რომელთა გამოტანა შინაგან ბაზარზე აკრძალული იყო საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის განკარგულებით, გაყიდულ იქნებიან საჯარო ვაჭრობის წესით, რომლის პირობები აღნიშნულია ს. ს. რ. კავშირის სახ. კომ. საბჭოს ზემოხსენებულ დადგენილებაში.

889—8—3

საბავშვო საკონსულტაციო-სამკურნალო კაბინეტი ექიმი ქალის
ვ. დ. ხანცინის
მედიცინის ექიმის **ვ. ვ. შენგელიძის**
მუდ. კონსულტაციით. მიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 2-დან—4 საათამდე. ძუძუმწოვარ ბავშვთათვის კონსულტაცია—ოთხშაბათობით და შაბათობით. კრუზენშტეინის ქუჩა № 1. (რუსთაველის პრ. კუთხე) ტელ. № 18-14.
(46—25—8)

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენით დაარსებული
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მკურნალობით ექიმობას საჭიროებენ.
სამკურნალო აწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, გორდანოვის ქ. № 20.
(1252—25—17)

დაეკარგა პირადობის ბარათი მოცემული ქალაქ ქუთაისის მილიციის სამმართველოდან ვაცხადებ გაუქმებულად. ვლადიმერ ჩირგაძე.
75—1—1

დაეკარგა პირადობის მოწმობა № 735, მოსე ლევანტის ძე რუსაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
76—1—1

20% შეღავათი
საქართველოს ს. ს. რ. სატყეო ტრესტი „გრუზლეს"
(სახერხი ქარხნები, გრეხილი ავეჯის ფაბრიკა, ხის დამმუშავებელი სახელოსნო, მდინარის და საზღვაო ტრანსპორტი)
აცნობებს ყველა
სახელმწიფო დაწესებულებებს, ტრესტებს და სინდიკატებს, კოოპერატიულ გაერთიანებებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომ ტრესტს აქვს როგორც ცენტრში, ისე რაიონებში, რკინისგზის სადგურებში და სახერხ ქარხნებში
დიდი მარაგი ხე-ტყის მასალების
და ნაწარმოების, როგორიც არის მაგალითად: მაგარი და რბილი შეშა, მორები, ძელები, ფიცრები, რეიკები, „მორბილილები" და „ბალდეები" სხვადასხვა სიდიდის და თვისების, ბზა (კავკასიური პალმა) გამოსადეგი უცხოეთში გასაზიდათ, წკეპლები (მუხის და წიფლის) ბოჭკებისა და ეკიპაჟებისათვის, შპალები მუხის, ყარაგაჩის და წიფლის, მაღაროს დაზგები, ტელეფონის ბოძები, გრეხილი ავეჯი, კროვატები, სკამები ვენის და სადურგლო ნაწარმოები, საწერი და საკანცელარიო მაგიდები, შკაფები, გარდეროები, ბუფეტები და სხვ.)
სახელმწიფო დაწესებულებებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დახერხილი ხე-ტყის მასალები დაეთმობათ 20 პროც. შეღავათით, ხოლო დანარჩენებს, რომლებიც წაიღებენ არა ნაკლებს ერთი ჩერვონეცის ღირებულებისა, მიეცემათ პრეისკურანტის ფასზე 10 პროც. დაკლებით.
ფასები კონკურენციის გარეშეა: დაკვეთები ხე-ტყის მასალებზე და ნაწარმოებზე მიიღება განუსაზღვრელი რაოდენობით. მოთხოვნილებით საჭიროა მიმართოთ: სერგიევის ქ. № 1, ტელეფონი 13-66. სახერხი ქარხანა, კამოს ქ. № 16. ტელეფონი 6—63. პროვინციიდან უნდა მიმართოთ ტრესტის განყოფილებებს.
706

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.